საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 18 მაისი, 2013 წელი.

№91 (7218)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვეთი სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

საქართველო სიბინძურის მორევში არ ჩაეფლობა!..

გუშინ დედაქალაქში,
იმგზობას და ამგზობას
იყო დიდი ყაბზობა,
იყო დიდი რაკარუკი,
ათასგვარი ტრაკატრუკი,
ხალხმა მწვირეს უგანა,
არა! — უთხრა უკანალს.



17 მაისის მრავლისმეტყველმა დღემ ცხადი გახადა, რომ საქართველოს სიბინძურის ცუნამი დაემუქრა. მაგრამ ჩვენმა ხალხმა ისიც ცხადყო, რომ სიბინძურის მორევში ჩაფლობას არამც და არამც არ აპირებს. ხელისუფლება, ამერიკისა თუ ევროპის საეჭვო საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის ანგარიშის გაწევის გამო, უსუსურად გამოიყურებოდა, თამამად ვერ ამბობდა თავის გადამწყვეტ სიტყვას. ამიტომაც იყო, რომ ადგილადგილ ფრიად საგულისხმო შეძახილები გაისმოდა: ნუთუ ხელისუფლება ვერ ხედავს, რომ ქვეყნის საქმე, აშკარად ნაციონალთა ხელშეწყობითა და ყოველდღიური წაქეზებით, ტრაკისკენ მიდის?! ადამიანის ამ ორგანოს ბუნებისგან თავისი დანიშნულება აქვს, ნუ დავაკისრებთ ახალ მოვალეობას!

დაბოლოს, ისევ ხელისუფლების გასაგონად: ნუ ვიაზროვნებთ ტრაკით, ვიაზროვნოთ თავით! იმედია, გუშინდელი მწარე გაკვეთილი არა

მარტო შეაშფოთებს, არამედ ჭკუას მოაკრებინებს, ცოტა არ იყოს, ნაციონალთაგან შიგადაშიგ თითქოსდა შეშინებულ და ავად წყალგადასხმულ ამჟამინდელ ხელისუფლებას, რომლისგანაც ხალხი მეტ პრინციპულობას, მეტ გაბედულებას, მეტ მკვეთრ ნაბიჯებს მოითხოვს უტყუარი სამართლიანობის დროულად აღსადგენად!

გვეყო ნაყე-ნაყე, დუნე, ფეხათრეული სიარული არჩევნებამდელი გულუხვი დაპირებების ხორცშესასხმელად! ჩვენი ზნეობრიობის გამომცდელმა გუშინდელმა მძიმე დღემ ისიც თვალსაჩინოდ გვიჩვენა, რომ ჩვენი ხალხი სულაც არ აპირებს იმ სახედრად ყოფნას, რომელსაც გულარხეინად ამშვიდებს ეჩემფეხება პატრონი: აცე, ვირო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე იონჯა მოვაო!

მით უმეტეს, რომ, თუ პირდაპირ გავიგებთ ნათქვამს, გაზაფხული მოვა კი არა, თითქმის გადის, იონჯა კი ჯერაც არ ამოწვერილა!..

(მკითხველს ბოდიშს ვუხდით „დღის გმირი“ ორგანოს თავისი სახელით მოხსენიებისთვის).

აქციის ამფრაზურიდან:

მიხეილ ზაძარიაშვილი (კომპოზიტორი):

„პირველი სკოლის წინ ილიამ და აკაკიმ ერთმანეთს გადახედეს, და წამო სადმე სხვაგან გადავდგეთ, ვინმეს იმნაირები არ ვეგონოთო“...

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თბილისი არ არის და ვერც გახდება ამსტერდამის წითელი ფარნების კვარტალი

ლგბტ-ებმა მომავალში გულშიც კი ვერ უნდა გაივლონ მსგავსი აქციის დაგეგმვა

დაანონსებული გეიაღლუმი „ჩვიდმეტმაისელებმა“ (ლგბტ) რუსთაველის პროსპექტზე დაიწყეს, მაგრამ რამდენიმე ათასმა თბილისელმა მათ ამის საშუალება არ მისცა.

ქაშუეთის ტაძრის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციაზე მცირე არეულობაც მოხდა. სიტყვიერი დაპირისპირება აქციის მონაწილეებსა და სასულიერო პირებს შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც მოძღვრებმა მოქალაქეებს საავტომობილო გზის გახსნისკენ მოუწოდეს. ამან აქციის მონაწილეების უკმაყოფილება გამოიწვია.

მათი განცხადებით, გზის სავალ ნაწილზე ყოფნის უფლება 16:00 საათამდე ჰქონდათ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ რუსთაველის გამზირზე მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

ირაკლი ღარიბაშვილის უწყებამ მოქალაქეებს კანონის შესაბამისად მოქმედებისა და თბილისის ცენტრალური გამზირის დატოვებისკენ მოუწოდა.

პარალელურად თავისუფლების მოედანზე სასულიერო პირების ინიციატივით გამართულ აქციას უამრავი ხალხი შეუერთდა. მათ შორის იყვნენ პოლიტიკოსები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები.

ბიზნესმენი **ლევან ვასაძე** თბილისში ლგბტ აქციის მოწყობას გაუმართლებლად და შეურაცხმყოფლად მიიჩნევს.

როგორც მან ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ისეთი წმინდა ქალაქისთვის, როგორიც თბილისია, ლგბტ აქცია შეურაცხმყოფელია.

– ჩვენ ვართ ქალაქის მკვიდრნი, სადაც 100 000-მა მოწამემ თავი გაწირა სარწმუნოების დაცვისთვის და ამ წმინდა ქალაქში გარყვნილების აღლუმი არის პირდაპირი შეურაცხყოფა ჩვენი ეროვნების, ჩვენი ტრადიციების და ჩვენი გრძნობების. ერმა გამოხატა თავისი ნება, სამართალდამცავებმა რაც შეეძლოთ გააკეთეს წესრიგის დასაცავად. მადლობა ღმერთს, რომ მსხვერპლი არ ყოფილა და ყველამ დაინახა, რომ თბილისი არ არის ამსტერდამის წითელი ფარნების კვარტალი, – განაცხადა ლევან ვასაძემ.

მიუხედავად პოლიციელთა ძალისხმევისა, რომ დაპირისპირება ფიზიკურ ანგარიშსწორებაში არ გადასულიყო, მოქალაქეებსა და „ჩვიდმეტმაისელებს“ შორის ინციდენტი მაინც მოხდა.

თავისუფლების მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიებიდან სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა 12 დაშავებული ადამიანი გადაიყვანეს.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის პრესსამსახურში განაცხადეს, რომ ყველა დაშავებული სხვადასხვა კლინიკაში არიან გადაყვანილი. ისინი მსუბუქად არიან დაშავებული.

პრესსამსახურის ინფორმაციით, თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების 16 ბრიგადა იყო მობილიზებული. დაშავებულთა შორის იყვნენ პოლიციელები და ჟურნალისტები.

აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელის სიტყვით, მას რუსთაველის გამზირზე სექსუალურ უმცირესობათა საწინააღმდეგო აქციის მონაწილეები აგრესიული შეძახილებით შეხვდნენ.

ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ბრიჯიტ ბრინკი აქციაზე მას შემდეგ მივიდა, რაც სიტუაცია დაიძაბა და ლგბტ-ების მოწინააღმდეგე აქტივისტებმა პოლიციის კორიდორი გაარღვიეს.

ბრიჯიტ ბრინკის თქმით, მის გამოჩენას აქტივისტების მხრიდან, როგორც სექსუალური უმცირესობების, ასევე ნატოს საწინააღმდეგო შეძახილები მოჰყვა. აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ კი დაიძახა, რომ „საქართველო ნატოში არ შევა“.

პოლიციელებმა მოახერხეს ლგბტ ორგანიზაციის წევრების ყვითელი ავტობუსებითა და სამარშრუტო ტაქსების საშუალებით მოეცილებინათ ქალაქის ცენტრიდან.

სასულიერო პირებმა და აქციის მონაწილეებმა, მათ შორის ახალგაზრდებმა, ლგბტ ორგანიზაციის წევრებს ორთაჭალამდე სდიეს. აქციის მონაწილეები რესტორან „კრწანისთან“ შეჩერდნენ და იმის გამო, რომ ორგანიზაცია „იდენტობის“ ვერც ერთი წევრი ვერ იპოვეს, ისევ უკან დაბრუნდნენ. მათ გამოიარეს ლესელიძის ქუჩა და ლგბტ ორგანიზაციის წევრებს ეძებდნენ, რათა ფიზიკურად გასწორებოდნენ; გზადაგზა ისინი სექსუალური უმცირესობების მიმართ შეურაცხმყოფელ სიტყვებს სკანდირებდნენ და მათ ფიზიკურად გასწორებით ემუქრებოდნენ. როგორც აქციის ორგანიზატორები ამბობდნენ, ლგბტ-ებმა მომავალში ვერც კი უნდა იფიქრონ მსგავსი აქციის დაგეგმვა.

აქციის მონაწილეთა გამო ორთაჭალაში მოძრაობა შეფერხებული იყო. მათ ერთ-ერთი ყვითელი ავტობუსის დაზიანებაც კი სცადეს, რადგან, მათი მოსაზრებით, ლგბტ-ები შესაძლოა, ავტობუსში ყოფილიყვნენ.

აქციის მონაწილეები ფილარმონიისა და ქაშუეთის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიკრიბნენ, რადგან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლგბტ ორგანიზაციის წევრები კვლავ აპირებდნენ დაბრუნებას ქალაქის ცენტრში და შეწყვეტილი გეიაღლუმის ჩატარებას.

აქციის მონაწილეებთან იმყოფებოდა პატრიარქის ქორეპისკოპოსი მეუფე იაკობი. „არავის ჩავატარებინებთ იმას, რაც ერის ზნეობისა და ღირსების საწინააღმდეგოა. დღეს საკმაოდ მძიმე დღე იყო. ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომელიც უცხოეთიდან ფინანსდება, ერის პროვოცირებას აპირებდა. ისინი ქვეყანაში სიტუაციის არევისაკენ მიდიოდნენ. ეს იმ ჯგუფებს აწყობთ, რომელთა წიაღშიც შეიქმნა ეს ორგანიზაცია. ერთ-ერთმა პარტიამ, 19 აპრილის აქცია რომ გამართა, რამდენიმე თვის განმავლობაში 5 ათასი კაცი დავიწყეთ ორგანიზება და რამდენი ხალხი შეიკრიბა, ნახეთ. სიტუაცია კონტროლის ქვეშაა და არაფერი „ისეთი“ არ ხდება, – განაცხადა მეუფემ და აქციის მონაწილეებს სამების საკათედრო ტაძარში გადანაცვლებისკენ მოუწოდა, სადაც სამადლობელი პარაკლისი უნდა გადაეხადათ.

ავთანდილ ბეძაური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ „ქართული აკადემიის“ განცხადება

სახელმწიფო უნივერსიტეტებს — საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი

განათლებისა და მეცნიერების სფეროებში სასიცოცხლო მნიშვნელობის რეფორმების განხორციელების გზაზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებას წარმოადგენს ის სამართლებრივი ვითარება, რომელიც ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში შექმნეს უკიდურესად პოლიტიზებულმა, მედროვე და ანგარებიანმა ადამიანებმა.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელები წინააღმდეგნი არიან, სახელმწიფო უნივერსიტეტებს შესაძლებლობა მიეცეთ, შეიძინონ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი.

15 მაისს მედიის მეშვეობით გავრცელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიმართვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისადმი. მიმართვაში უტიფრად არის ნათქვამი, რომ, თურმე, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი და მისი თავმჯდომარე, ბ-ნი ივანე კიღურაძე, — მომხრენი არიან რა ზემოხსენებული იდეისა, — „უმაღლეს განათლებაში საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ვითარების აღდგენას“ ცდილობენ.

მთელი კომიზმი შექმნილი ვითარებისა იმაში მდგომარეობს, რომ უნივერსიტეტების ავტონომიის იდეას იცავენ საუნივერსიტეტო ავტონომიისა და ზოგადად საქართველოში განათლებისა და მეცნიერების მესაფლავეები, მათ შორის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ბ-ნი გიგი თევზაძე.

სხვათა შორის, საგულისხმოა ის აფერა, რომელიც „თევზაძემ და კომპანიამ“ 2012 წელს განახორციელა და რომელიც მაშინდელ პრემიერ-მინისტრ ნ. გილაურის მიერ ხელმოწერილი 2012 წლის 8 ივნისის №203 დადგენილებითაა გაფორმებული. კერძოდ, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის, მარგიანის ქ. №21-ის (კერძო ბინის) მისამართით რეგისტრირებულმა ა(ა)იპ „კვლევისა და განვითარების ტექნოლოგიებმა“ და სახელმწიფომ (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახით) დააფუძნეს ა(ა)იპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. მთელს ამ, — ვიმეორებთ, — აფერაში საინტერესო ისაა, რომ ზემოხსენებული ა(ა)იპ „კვლევისა და განვითარების ტექნოლოგიების“ გამგეობის თავმჯდომარეა ბ-ნი გიგი თევზაძე, ხოლო წევრი (სხვა რამდენიმე პირთან ერთად) — ბ-ნი სერგო რატიანი.

ახლა ეს (და მსგავსი) ადამიანები ნებისმიერი საშუალებით იბრძვიან იმისათვის, რომ მათთვის ხელსაყრელ პირობებში მოპოვებული სარგებელი არ გაუშვან ხელიდან (რის საშუალებასაც აძლევთ ამჟამად არსებული სამართლებრივი სტატუსი) და, რამდენადაც უცნაურად არ უნდა გამოიყურებოდეს, მათ ამ საქმეში საპარლამენტო უმრავლესობისა და პირადად პარლამენტის თავმჯდომარის, ბ-ნი დავით უსუფაშვილის, იმედი ჰქონიათ.

„გთხოვთ, გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება საქართველოს უმაღლესი განათლების და კვლევის სივრცის მაქსიმალური ავტონომიზაციისათვის და თვითმმართველობის განმტკიცებისათვის“, — ნათქვამია ზემოხსენებულ მიმართვაში.

თავისდათავად ჩვენც ვუერთდებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიმართვას და დაბეჯითებით ვთხოვთ საქართველოს პარლამენტსა და მის თავმჯდომარეს ბ-ნ დავით უსუფაშვილს, გამოიყენონ თავიანთ „ხელთ არსებული ყველა საშუალება საქართველოს უმაღლესი განათლების და კვლევის სივრცის მაქსიმალური ავტონომიზაციისათვის და თვითმმართველობის განმტკიცებისათვის“. კერძოდ, მაქსიმალურად მოკლე დროში კანონით უზრუნველყონ სახელმწიფო უნივერსიტეტები — შეიძინონ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, რომელიც, ევროპის არაერთი ქვეყნის (გერმანია, ავსტრია, ჩეხეთი, პოლონეთი და სხვ.) გამოცდილების მიხედვით, იძლევა მეტ შესაძლებლობებს საუნივერსიტეტო თვითმმართველობის გაძლიერების, მეტი ფინანსური დამოუკიდებლობისა და აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფისათვის.

◎ ფეისბუქიდან

წერტილოვანი ფრაზები

● ნაციონალურ ოცნებაასრულებული ხელისუფლება საქართველოს მოსახლეობის მოთმინების საზღვარს ზომავს ეტყობა! მალე ეს მოთმინება კულმინაციას მიაღწევს!

● ბიძინა სად არის შენი „ბუტკა“ , იმნაირები უნდა შევყარო.

● 17 მაისის მთელი ეს აღლუმობანა ხელოვნურად გაღვივებული მუგუზალია, რომელიც თავისით ჩაინავლება. სამაგიეროდ, სააკაშვილი და ბოკერია იმაზე ოცნებობენ, რომ 17 მაისს რაიმე ექსცესი მოხდეს. სწორედ იმიტომ გავარდა მიშა ვაშინგტონში, რომ იქედან CNN-ს და სხვა არხებს მისცეს ინტერვიუ, თუ თბილისში რამე მოხდება. როგორც გავიგე, ჩერგოლეიშვილ-ბოკერიას წყვილი ევროპაზეა გამწესებული. ფაქტიურად, მათთვის იუსტიციის საბჭოს და საჯარო სასამართლოების რეფორმამდე ეს ბოლო დარჩენილი შანსია, რომ დასავლეთს საქართველოს ხელისუფლების „არატოლერანტობა და არადემოკრატიულობა“ დაანახონ!

იმედი მაქვს, პოლიციაც ყველა ღონეს იხმარს, რომ ნაციონალების ოცნება — სისხლიანი დაპირისპირების ინსპირირებაზე, არ ახდეს!

● ჩემი კატა ძალიან მაგრად მღერის პიანინოს თანხლებით.....ჟურნალისტებს შევთავაზე გადაეღოთ.... დამთანხმდნენ, მაგრამ როცა გაირკვა, რომ ჩემი ფისო ჰეტეროა და არანაირი გადახრა არა აქვს, აღარ გადაიღეს))

● თუ რუსთაველზე ტაკოტიტველი არ ინარნარებ, რაა ევროპა?

● ბოლო კვირების კონტექსტი ასეთია: პოლიტიკური ძალები ერთმანეთთან საბრძოლველად სექსუალურ უმცირესობებს იყენებენ. ატომური იარაღივით არის რა...

● ფაშისტი ხარ?! ეს რა მაგარი შანტაჟის ხერხი მოიგონეს — თუ მათ გამოთქმულ დემაგოგიას არ აყვები და რამე საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამ — ფაშისტი ხარ! და თვითონ ფაშისტები არ არიან, შენ რომ ეზიზღები და ყველა არათავისნაირი, არამათგვარად მოაზროვნე? კამათიც რომ მიუღებელია და პირდაპირ განაჩენს გამოგიტანენ?

ნეტა რა გონიათ ფაშისტობა?

● ეს უნდა იყოს უკანასკნელი შემთხვევა, როცა ჩვენი ბიჭები ავღანეთში იღუპებიან, ჩვენ ისედაც ბევრი სამხედრო დავკარგეთ უაზრო ომებში, ბოლოს ასეთი შემთხვევა 2008 წელს მოხდა, ჩვენ ნამდვილად არ გვყავს დასაკარგი ბიჭები, უნდა შეწყდეს ჩვენი სამხედროების ხოცვა სხვის ომებში, ქართულმა დანაყოფმა სასწრაფოდ უნდა დატოვოს ავღანეთი, იმედია, ირაკლი ალასანია სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ ახალი მთავრობა სააკაშვილის სისხლიან პოლიტიკას განაგრძობს!

● აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, გამოკითხვა რომ ჩაატარონ საქართველოში, ავღანეთიდან ჩვენი ნაწილების გამოყვანაზე, მოსახლეობის 90% მხარს დაუჭერს.

ესაა რეალობა, თუ ჩემი არ გჯერათ ჩაატარეთ და ნახავთ!!!

ჯარისკაცი ფიცს დებს საკუთარი ქვეყნის დაცვაზე და არა სხვა ქვეყანაში, „უფრო სხვა ქვეყნის“ ბიზნეს ინტერესების დასაცავად!!!

რაის ტერორისტი, რაის ალ-ქაიდა??? ტერორისტებთან ბრძოლა რომ უნდოდეს ამერიკას, იარაღის ბაზარს კი არ გაუხსნიდა ავღანელებს? „პეტრუშკის“ კონასავით იყიდება ავტომატები და ტყვია-წამალი!

ბომბებს კი იმ სასუქით აკეთებენ ძირითადად, ამერიკას რომ შეაქვს ავღანეთში ვითომდა მიწის გასამდიდრებლად!

შეარჩია
გია გაბრიჭიძემ

◎ გულისხმიერება

თითქოს არ უნდა გვიკვირდეს, მაგრამ...

ორიოდ სიტყვით იმაზე, რამაც კიდეც გამაოცა და კიდეც გამახარა გურჯაანში დაუგეგმავი სტუმრობისას

ვინ მოთვლის, რამდენჯერ ახდილა ქვევრი ჩემი სტუმრობისას კახეთის გულის — გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგში, მაგრამ ამჯერად იქ, ამასწინანდელი სტიქიის ეპიცენტრში სრულიად შემთხვევით მოვხვდი და პირდაპირ მოვჭრი, სასიამოვნოდ გამაკვირვა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენელთა გულისხმიერებამ.

ვინაიდან ბერიკაშვილებს დღის მეორე ნახევარში ვეწვიე, ძნელად წარმომედგინა, რომ, ტრადიციისამებრ, არ მომიწევდა მასპინძლებთან გაწევ-გამოწევა „ერთი-ორი ჭიქით“ მაშინვე დალოცვის თაობაზე.

კიდევ კარგი, შევცდი და თავდაპირველად საქმეზე, ანუ 14 მაისს თავსდამტყდარი სეტყვის შედეგად იავარქმნილი საცხოვრისისა და საკარმიდამო ნაკვეთის გამო იქაურ გამგეობაში შესაბამისი დახმარების გასაწევი განცხადების დასაწერად წაყოლაზე დავითანხმე ოჯახის უფროსი.

აი, სწორედ იქ მელოდა სიურპრიზი, რომელიც შემდეგ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ ფაქტში გამოიხატა: მართალია, სოფლის რწმუნებული გიორგი პეტრიაშვილი გაპარტახებული ობიექტების დასათვალიერებლად იყო გასული, მაგრამ მდივანმა გიორგი მინდიაშვილმა, მავანი ბიუროკრატი ჩინოვნიკივით, შეფის არყოფნა კი არ მოიმიზეზა, არამედ ოპერატიულად და დაუყვედრებლად შეასრულა სოფლის თავკაცის როლი.

დეტალების დაკონკრეტება, ვფიქრობ, საჭირო არ არის, მაგრამ ერთის აღნიშვნა კი აუცილებლად მიმაჩნია: როცა გაოცება ვერ დავმალე, — ამ კოკისპირულ წვიმაში გვიანობამდე მუშაობით რად ისჯით თავს-მეთქი, ალალად მომიგო, ჩვენი შეწუხება რა მოსატანია თანასოფლელთა გასაჭირთანო.

წესით და რიგით, ნორმალურ საზოგადოებაში არც უნდა გვიწევდეს ასეთ წვრილმანებზე ყურადღების გამახვილება და, მით უფრო, ამის გამო გაკვირვება, მაგრამ იქამდე, ეტყობა, ბევრი გვაკლია.

საწუხარ არს ესე.

გია პლატონიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

სხვადასხვა ფართებში უკანონოდ შეჭრილი პირები სოციალურად დაუცველის სტატუსს ვერ მიიღებენ

აღნიშნული ინიციატივით მთავრობას გუშინდელ სხდომაზე საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ მიმართა.

მინისტრის ინფორმაციით, გასული წლის 3 ოქტომბრის შემდეგ გაზრდილია სხვადასხვა ობიექტებში უკანონოდ შეჭრილი მოსახლეობის რაოდენობა, რომლებიც სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭებას ითხოვენ.

— ჩვენი ინიციატივა შეეხება იმას, რომ სოციალურად დაუცველთა ბაზაში დარეგისტრირება შეეზღუდოთ მათ, თუ უკანონოდ არიან შეჭრილები და ფართის მეპატრონე უარს აცხადებს მათ იქ ყოფნაზე. ასეთ შემთხვევაში, ამ ადამიანებს არ უნდა მიეცეს საშუალება, რომ მოხდეს მათი სტატუსის შეფასება და მიიღონ სოციალურად დაუცველის სტატუსი. მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ სტატუსის მისაღებად უნდა შეფასდეს მათი საცხოვრებელი. სხვის ფართში ყოფნის გამო კი ეს ვერ ხერხდება“, — აღნიშნა დავით სერგეენკომ მთავრობის სხდომაზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ხვნაშივე გავრიგდეთ

ხელაღებით ნუ გავასხვისებთ ჩვენს მიწა-წყალს

სახელმწიფო თავისი მოქალაქის უკითხავად უცხოელზე მიწას არ უნდა ყიდდეს...

„საქართველოს რესპუბლიკის“ პირველი მაისის №81-ში გამოქვეყნდა მასალა, რომელიც ჩინელების მიერ ოლიმპიური კომპლექსის მშენებლობას ეხებოდა.

ფაქტია, რომ 2015 წლისთვის ჩინელებმა ოლიმპიური კომპლექსი უნდა ააშენონ, მაგრამ საკითხავია, რამდენად მნიშვნელოვანია ეკონომიკურად ეს პროექტი ჩვენი ქვეყნისათვის.

ამასთან დაკავშირებით ფინანსების და ეკონომიკის კათედრის გამგეს, სრულ პროფესორს (გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში) ამირან თამბართქილაძეს ვესაუბრე.

— უპირველეს ყოვლისა, — თქვა მან, — გასარკვევია, როგორია მათი ოფიციალური სტატუსი. როცა სხვა ქვეყანაში გიწევს წასვლა სამუშაოდ, მინიმუმ შრომითი ვიზა უნდა გქონდეს, რაც არის ვადიანი. ეს რას ნიშნავს: ერთი წლით მოვდივარ, ვმუშაობ და მერე მივდივარ. თუ შრომითი ვიზა გასცეს, რამდენიც უნდა იყოს, თუ გინდა ნახევარი მილიონი შემოიყვანონ. პირიქით, კარგია თუ მოწვეული მუშებიც იქნებიან, ქართველი იმათ გვერდით რაღაცას ისწავლის, კვალიფიკაციას აიმაღლებს.

მოქალაქის სტატუსი სხვა რაღაცაა უკვე, თუნდაც ორმაგი მოქალაქეობის. საქმე ის არის, რომ ჩვენს ქვეყანას კაპიტალიზმი არ გაუვლია. სოფლის მეურნეობაშიც სიტყვა ფერმერი არ ვიცით, რა არის. ჩვენთან ფერმერი წარმოუდგენიათ, რომ ის ზის კაბინეტში და ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობას. ფერმერი არის ის, ვინც უშუალოდ მუშაობს მიწაზე. ამერიკაში ყოფნის დროს მე მომიწია ამერიკელი ფერმერის ოჯახში ცხოვრება. მე რომ გავიღვიძე დილით, სახლში არავინ არ იყო. გამაღვიძა ხმამ, გავიხედე ეზოში და ტრაქტორზე იჯდა საკმაოდ შეძლებული ოჯახის მეპატრონე, შემოსმული ჰყავდა ძარაზე ცოლ-შვილი. ასე რომ, თუკი მოვა ვინმე და თანამედროვე ტექნოლოგიას, მეურნეობის გაძღოლას ასწავლის, მაშინ ეს გამართლებული იქნება.

— ქართული მხოლოდ ერთი კომპანია „მიქსორი“ მუშაობს და ისიც ცალკე, რა უნდა ისწავლონ ჩინელებისგან?

— ეს უკვე ცუდია. როგორც ვთქვი, საქართველოს კაპიტალიზმის პერიოდი არ გაუვლია. ამიტომაც არ გვაქვს სამეწარმეო თუ საგადასახადო კულტურა. ერთი ძალიან ცნობილი კაცია, საბავშვო გამომცემელი რობერტ საბუდა. მასთან სტუმრად ყოფნისას, უკვე რომ მიმასპინძლა, უცბად შემოირტყა თავში ხელი და თქვა, წყალში ჩამეყარა ყველაფერი, ვერ წარმოიდგენ, ეს რა სირცხვილიაო. რატომ, რა მოგვიდამეთქი. იმიტომ, რომ გუშინ იყო გადასახადების გადახდის ბოლო დღე, რაც დამავიწყდაო. კაცი შეიცვალა, ფერი დაკარგა, იმიტომ კი არა, რომ ჯარიმას დააკისრებდნენ, არა, ეს სირცხვილი იყო მისთვის.

— ამ პროექტის განხორციელება რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის?

— ნებისმიერი პროექტის განხორციელება, როცა რაღაც უნდა აშენდეს, გაკეთდეს, კარგია. ვისი ხელით, ამასაც მნიშვნელობა აქვს. რაც მეტი ქართველი იმუშავებს, მით უკეთესია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კვალიფიციური მუშების გვერდით შავ მუშად ან დამხმარედ მუშაობდეს ქართველი. ეს ჩვენს ხელშია. ხელშეკრულების გაფორმების დროს შეიძლება ჩაიწეროს პირობაში, რომ დამხმარედ უნდა გყავდეს ქართველი. თანამედროვე ტექნიკის გამოყენება დღეს ჩვენთან არ იციან. რომ მოვინდომოთ და სპეციალისტის პოვნა, რომელიც ზუსტ შედეგებას აკეთებს, საქართველოში ვერ იპოვი, იძულებული ხარ, ჩამოიყვანო.

-რამდენად გამართლებულია ქვეყნისთვის, რომ ეს ბინები ჩინელებმა უნდა გაყიდონ?

— მნიშვნელოვანია ის, თუ ვინ იცხოვრებს ამ ბინებში. უცხოელი — დროებითი სტატუსის მქონე თუ, უარეს შემთხვევაში — მესაკუთრე ჩინელმა მიჰყიდა ისევ ჩინელს. თუ ის ჩინელი საქართველოს მოქალაქე არ გახდება, ჰქონდეს ბინა თბილისში. საქართველოს კანონმდებლობას და კონსტიტუციას დიდ პატივს ვცემ, ის რომ გვიწერია, განსაკუთრებული დამსახურებისათვის ნებისმიერ უცხოელს შეიძლება მიეცეს მოქალაქეობაო... კი, ეს კარგია, მაგრამ სიტყვა განსაკუთრებული დამსახურებისათვის არ უნდა ვრცელდებოდეს ყველასა და ყველაფერზე.

მსოფლიო ბანკი ყოველწლიურად იკვლევს სხვადასხვა ქვეყნის მდგომარეობას, მათ შორის საქართველოსისაც. თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩვენ ვერ მოგვშორდა ფრაზა — საქართველოში დაბალი სამეწარმეო კულტურაა, ბიზნესების უმრავლესობა გაურკვეველია საკუთრების ფორმებში, გადასახადების რაოდენობაში. თხუთმეტი წელია, წინ ვერ წავიწიეთ. თავიდანვე ეწერა „ჯერ კიდევ დაბალია“ და დღესაც იგივე მაჩვენებელია.

— სწორია თუ არა, რომ ქართული მიწა უცხოელებზე იყიდება?

— არასწორია, როცა სახელმწიფო მიწას ყიდის სხვა ქვეყნის მოქალაქეზე და არ ეკითხება ქართველს: შენ ხომ არ იყიდი? მოქალაქის საკუთრება თუ არის, მაშინ შენ კონსტიტუციური უფლება გაქვს, ვისაც გინდა იმას მიყიდო, ვისაც გინდა იმას აჩუქო. ამას სახელმწიფო ვერ დაგიშლის.

შარშან გორში პურის ფულის უქონელ გლეხს 50 ჰა მიწა მიჰყიდა სახელმწიფომ და რამდენიმე დღეში ის ადგილი უცხოელზე გაიყიდა. უბრალო მოქალაქისთვის კი, რომელსაც სურდა, მცირედი მიწა შეეძინა და საოჯახო ბიზნესი გაეკეთებინა, ის ადგილი წითელ ზოლში აღმოჩნდა, რადგან ამით სახელმწიფო ვერც ისე დიდ მოგებას ნახავდა.

უფრო მეტად უნდა უყვარდეს და აფასებდეს სახელმწიფო თავის მოქალაქეებს, უფრო მეტად უნდა უფრთხილდებოდეს, სამართლიანად ექცეოდეს და აღარავის გააღიზიანებენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჯგუფ-ჯგუფად მოსიარულე ინდოელები, ჩინელები და ა.შ.

თინათინ დვალი,
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი, „სრ“ სპეც. კორ.

◎ ავზებსაც კი შეგიმოწმებენ...

აზერბაიჯანიდან იაფ საწვავს მანქანებით ველარ გადმოიტანენ

კბრბა ხანია, ლაპარაკობენ, რომ საქართველოში ნავთობპროდუქტების კონტრაბანდამ მოიმატა. ამისათვის სხვადასხვა მეთოდს იყენებენ. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შემოსავლების სამსახურმა უკვე გაშიფრა და შესაბამისი შეზღუდვებიც დააწესა. ამიერიდან აზერბაიჯანიდან სატრასპორტო საშუალებები მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის საწვავის გადმოტანას შეძლებენ.

დღეისათვის, საქართველოს კანონმდებლობით, გადასახადებისაგან თავისუფლდება საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემომსვლელი ის პირი, რომლის ავტოტრანსპორტის სტანდარტულ ავზში არსებული საწვავი, ძრავის კვების სისტემასთან კონსტრუქციულად და ტექნოლოგიურად არის დაკავშირებული.

თუმცა, ზოგიერთი ავტომფლობელი ამას სხვაგვარად იყენებს. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ხდება აღნიშნული გზით შემოტანილი საწვავის უკანონო რეალიზაცია, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს ნავთობპროდუქტების შემომტანი გადამხდელების ბრუნვასა და შესაბამისად, საბიუჯეტო შემოსავლებზე.

დიზელის საწვავის შემოტანა, ძირითადად, აზერბაიჯანიდან, საბაჟო გამშვები პუნქტების, „წითელი ხიდის“ და „ლაგოდეხის“ გავლით ხორციელდება. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ავტოგასამართი სადგურები საქართველოს სახელმწიფო საზღვრიდან 8-10 კილომეტრის რადიუსში მდებარეობს და საწვავის შემომტანს ტრანსპორტირების ხარჯის გაწევა, ფაქტობრივად, არც უხდება.

საწვავის შემომტანები არიან ფიზიკური პირები, რომლებსაც პროდუქტი საკუთარი ავტომანქანების (მსუბუქი, სატვირთო, ავტობუსი) ავზებით შემოაქვთ. დღის განმავლობაში, ამ მეთოდით, წითელი ხიდიდან და ლაგოდეხიდან ქვეყანაში, საშუალოდ, 100-დან 150-ტონამდე დიზელის საწვავი შემოდის.

„შემოტანილი საწვავის რეალიზაცია ხორციელდება როგორც საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე, ასევე, საქართველოს სხვადასხვა რაიონებში და ძირითადად სოფლის მეურნეობაში (მიწების დამუშავება, ხვნა-თესვა და ა.შ.) გამოიყენება. აღსანიშნავია ისიც, რომ საწვავის რეალიზაცია, ხშირ შემთხვევაში, კიდევ ერთი კანონდარღვევით, ბენზინგასამართი სადგურების გვერდის ავლით ხორციელდება“, — აცხადებენ შემოსავლების სამსახურში.

შსს-დან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დაფიქსირებული არიან ფიზიკური პირები, რომლებსაც კუთვნილი ავტომანქანების ავზებით შემოაქვთ საწვავი და მის რეალიზაციას სხვადასხვა პირებზე ახდენენ. კერძოდ, კახეთში დაფიქსირებულია 205 ფიზიკური პირი, ქვემო ქართლში — 200 ფიზიკური პირი, შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში — 149 ფიზიკური პირი.

ამასთან, ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული ინვენტარიზაციების შედეგად, 4 ავტოგასამართ სადგურზე, ე.წ. TIR პარკებში, 22 ტონამდე აღურიცხავი საწვავი გამოვლინდა, რაც მოწმობს იმას, რომ აღნიშნულ საქმიანობას ტრანზიტით მოძრავი გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები ახორციელებენ.

ამ ყველაფრის თავიდან ასარიდებლად საბაჟო გამშვებ პუნქტებზე შემომსვლელ ავტოსაგზაო საშუალებებს ავზში საწვავის რაოდენობას შეუმოწმებენ. უკვე მზად არის ფინანსთა მინისტრის ბრძანება, რომელიც ძალაში 23 მაისიდან შევა. დოკუმენტის მიხედვით განისაზღვრება დასაშვები ნორმა სხვადასხვა ტიპის ავტომანქანებისათვის თუ რა რაოდენობის ბენზინი უნდა ჰქონდეს ავზში საზღვრის გადმოკვეთისას.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ფიზიკურ პირს უფლება ექნება დაუბეგრავად შემოიტანოს: სატრანსპორტო საშუალების სტრანდარტული ავზით საწვავი (ოდენობის შეუზღუდავად) კალენდარული თვის განმავლობაში 3-ჯერ, ხოლო ამაზე მეტჯერ შემოტანისას მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში მხოლოდ 10 ლიტრი, ხოლო სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში მხოლოდ — 20 ლიტრი.

„რაც შეეხება ტრანზიტულად გადაადგილებულ სატრანსპორტო საშუალებებს, მოხდება მათი საწვავის ავზების ნიშანდება და საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებით გადაადგილება“, — აცხადებენ შემოსავლების სამსახურში.

გიორგი ბექაური

საქართველო სიბინძურის მორევში არ ჩაეფლობა!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მე ბრალს ვდებ!

„თმაში ჰქონდა ხელი ჩავლებული და მუხლს ურტყამდა სახეში“

ყოფილი პოლიტპატიმარი ლევან გოგიჩაიშვილი მთავარი პროკურორისგან მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის გასამართლებას და იმ ადამიანების რეაბილიტაციას ითხოვს, რომლებიც წლების განმავლობაში უკანონოდ იმყოფებოდნენ ციხეში. ყოფილი პატიმარი „სოდის“ ყოფილი უფროსის ერეკლე კოდუას წინააღმდეგ სისხლის სამართლებლივი დევნის დაწყებას ითხოვს, რადგანაც, როგორც ის განმარტავს, მისი დაკავების ოპერაციას კოდუა ხელმძღვანელობდა.

ლევან გოგიჩაიშვილი: დაკავების წუთიდან მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის უფროსმა ირაკლი ყიფშიძემ ჩემზე ზემოქმედება დაიწყო. მაიძულებდა, მეღიარებინა არარსებული დანაშაული. მეუბნებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფიზიკურად არ შეგეხებით, მაგრამ, დავიჭერთ ყველა შენს მეგობარს და ფიზიკურად გავუსწორდებითო. ორი საათი გრძელდებოდა ეს ზემოქმედება, სანამ სახალხო დამცველი და ადვოკატი მოვიდოდნენ. იყო მუქარები და ცინიკური დამოკიდებულება, რომ ვმუშაობდი რუსებზე და ამ „კარგი ადამიანების“ დამხობას ვცდილობდი რუსების საშუალებით.

— არ ეპასუხებოდით?

— ბუნებრივია, ვეპასუხებოდი, მაგრამ, ჩემი ხმა ვერ ფარავდა 15 ადამიანის შეურაცხყოფას. ამის მერე გადამიყვანეს მოდულის შენობაში და 72-საათიანი პროცედურა, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ბრალდებული წარსდგეს სასამართლოზე, 10 საათში მოაგვარეს. იმავე დღეს მე უკვე ვიმყოფებოდი გლდანში. იქ დაიწყო ის, რაც დაიწყო.

— და, რა დაიწყო?

— ჩვენ გვქონდა ინფორმაცია გლდანის ციხეში არსებულ მდგომარეობაზე და ვიცოდით, რომ პატიმრებს აწამებდნენ, მაგრამ ამის თვითმხილველი არ ვიყავი. ციხეზე რომ მიმიყვანეს, თანამშრომლები უკვე აგრესიულები იყვნენ. მიღების დღეს ოპერატიული მორიგე იყო ლადო ბედუკაძე. ჩამიყვანეს ე.წ ფუქსებში. დაახლოებით ერთ საათში მოხდა კარანტინის დაშლა და ამ დროს დაიწყო პატიმრების შეურაცხოფა. მე არ მეხებოდნენ, მაგრამ მაჩვენეს, როგორ სჯიდნენ პატიმრებს. ბუნებრივია, დავიძაბე. დაახლოებით ერთ საათში გადამიყვანეს საკანში.

მეგონა, რომ შემიყვანდნენ სხვა პატიმრებთან. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ შემიყვანეს ცარიელ საკანში. 1 წლისა და 3 თვის განმავლობაში მარტო ვიყავი ამ საკანში. არ მეკუთვნოდა მარტო ყოფნა და როცა დავიწყე ამაზე ფიქრი, გავაანალიზე, რაკი ცნობადი ვიყავი და ჩემზე ფიზიკური ძალადობა ურეაგირებოდ არ ჩაივლიდა, მათ ჩემი დასჯის სხვა მეთოდი აირჩიეს — მარტოობა. ძალიან რთულია მარტო ყოფნა უცხო გარემოში. ჩემს თავს მობილიზაცია გავუკეთე, რომ უნდა გადავრჩენილვიყავი.

— რა პირობებში იყავით ამ სამარტოო საკანში?

— ჩემი უფლებები თავიდანვე ირღვეოდა. ერთი წლის განმავლობაში არ მქონდა რადიო, არ შემოდიოდა პრესა, არ მაძლევდნენ წიგნებს. ერთი წლის განმავლობაში დავდიოდი 8 კვადრატულ მეტრში. პრაქტიკულად — ვიხრჩობოდი.

— იმ საკანს ფანჯარა არ ჰქონდა?

— იმ ფანჯარას გააღებდი თუ არა, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. დაახლოებით 10 სანტიმეტრზე იღებოდა ფანჯარა და არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ გესუნთქა. დავიწყე ჩემი უფლებების დაცვა და მივაღწიე იმას, რომ შემომიტანეს წიგნები და რადიო. მაგრამ პრესას ისევ არ მაძლევდნენ. ძალიან ცუდი რეჟიმი იყო. პატიმარს აიძულებდნენ, რომ დილის 6 საათზე ამდგარიყვნენ. 10 საათზე ქრებოდა შუქი და დილის 5 საათიდან კონტროლიორი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ პატიმარს 5 საათზე გაეღვიძა.

— რა მეთოდებს იყენებდნენ ამისათვის?

— შეგნებულად იწყებოდა რკინების ჭახაჭუხი. ცვლის გადაბარება მიდიოდა ისეთი ფორმით, რომ წარმოუდგენელი იყო დაგეძინა. 6 საათიდან იწყებოდა კამერების გაღება და საჭმლის დარიგება. ეს ხდებოდა შეურაცხყოფის ფონზე.

— კანონით, პატიმარს ერთი საათი აქვს იმისათვის, რომ ისარგებლოს გასეირნებით. თუმცა, როგორც ისინი ამბობენ, ბადრაგის თანამშრომლები მათ 15-20 წუთის მეტს გასეირნების საშუალებას არ აძლევდნენ...

— ნამდვილად ასე იყო. როცა ვნახე, რომ აზრი არ ჰქონდა ამ უფლების გამოყენებას, საერთოდ უარი ვთქვი გასეირნებაზე. პატიმარს ოცი მეტრის გავლა უჯდებოდა წამებად და ჯოჯოხეთად. იმიტომ, რომ აყენებდნენ შეურაცხოფას, სანამ მეორე სართულიდან მეოთხე სართულზე, სახურავზე მიგიყვანდნენ, ამ მანძილის გავლა ხდებოდა შეურაცხყოფისა და ცემის ფონზე. როცა იქ აიყვანდნენ, პატიმრებს დასცინოდნენ და აგინებდნენ. ამის გამო ძალიან ბევრი უარს ამბობდა გასეირნებაზე. ადამიანს, რომელიც ცუდად იყო, აიძულებდნენ გასულიყო. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ არ გავიდოდა დღე ისე, რომ 5-10 კაცს ჩემს თვალწინ ან გვერდითა საკანში პატიმრები არ ეცემათ. ადამიანი ექიმს რომ ითხოვდა, პასუხი იყო ასეთი - „რად გინდა ექიმი, შენი დედა...“. მე ვარ ფაქტის მომსწრე, როდესაც პატიმარს ოპერაცია კამერაში გაუკეთეს.

— რატომ არ გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში?

— არ უნდოდათ და იმიტომ. იმ ანტისანიტარიაში, პატიმრების თანდასწრებით გაუკეთეს ბუასილის ოპერაცია. ბრმა ნაწლავის ოპერაციაგაკეთებული ადამიანი მესამე დღეს დააბრუნეს კამერაში და გაეხსნა ნაკერები, 3 საათზე მეტი დრო დასჭირდა ამ ადამიანის გადაყვანას. ეს იყო ჯოჯოხეთი. კონტროლიორი დგებოდა კარებთან და თუ გაიგებდა ლაპარაკს, შემოდიოდა და ცემდა პატიმრებს. ადამიანები ერთმანეთთან ჩურჩულით საუბრობდნენ. წელიწადი და 3 თვე თამაზ მელაძის პერიოდში მომიწია ყოფნა. იყო აუტანელი სიტუაცია.

მესმოდა გოდების ხმა, კივილი, ტირილი. ძალიან ძნელი მოსასმენია, როდესაც გესმის მამაკაცის ტირილი. ყველაზე რთული ისაა, ვერ ეხმარები. ბოლმისგან ცრემლები მომდიოდა. ვყვიროდი, როცა წამების ხმა მესმოდა. მაგრამ, მოდიოდნენ და დამცინოდნენ — რა აზრი აქვს, გიჟივით რომ ყვიროო. საცემრად აბანოში შეჰყავდათ პატიმრები, რადგანაც იქ არ იყო ვიდეოკამერა. უმიზეზოდ შედიოდნენ საკანში და პატიმრებს ცემდნენ. თვეში ერთხელ ტარდებოდა ე.წ. ჩხრეკა. ხალხი ლოცულობდა, რომ რაღაცნაირად გადაეტანათ ეს პროცედურა. ყიზილბაშებივით შემოცვივდებოდნენ და თუ ვინმეს ოჯახის წევრების სურათები ჰქონდა გაკრული, ძირს უყრიდნენ, შეურაცხოფას აყენებდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც სურათზე იყო გამოსახული. ეუბნებოდნენ, რომ ახლა მოვიყვან შენს ცოლს და შენს თვალწინ გავაუპატიურებო.

— ეს თქვენ გაგონილი გაქვთ სხვა პატიმრებისგან, თუ ამის თვითმხილველი ხართ?

— მე ეს ყველაფერი საკუთარი ყურებით მესმოდა, მაგრამ, ვერაფერს ვაკეთებდი. ასე უსუსურად და უმწეოდ თავი არასოდეს არ მიგრძნია...

— რაც შეეხება მუხაძის პერიოდს, პატიმრები ამ პერიოდს ძალზე მძიმედ იხსენებენ. ამბობენ, რომ მან დასჯის საკუთარი მეთოდი დაამკვიდრა საპატიმროში. ეს რეალურია?

— მან დაიწყო ტერორი. დღეში ერთხელ დაივლიდნენ ყველა კამერას და ყველას უმიზეზოდ ცემდნენ. ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ პატიმრებს უკრძალავდნენ წამოწოლას და დასვენებას. პატიმარი, რომელიც დილის 6 საათზე დგებოდა, ღამის 10 საათამდე ან ფეხზე უნდა მდგარიყო, ან უნდა მჯდარიყო რკინის სკამზე. თუ ნახავდნენ, რომ პატიმარი იწვა, ამის გამო სჯიდნენ მთელ კამერას და აყენებდნენ კუთხეში სახით კედლისკენ. ამ ყველაფერს შევადარებდი იმ დამოკიდებულებას, რა დამოკიდებულებაც ჰქონდათ ფაშისტებს ებრაელების მიმართ.

— რაც შეეხება პატიმრების გაუპატურების ფაქტებს... ამის შესახებ იცოდით პატიმრებმა, რომ იქ პატიმრების გაუპატიურება ხდებოდა?

— ამის შესახებ ინფორმაციის გამოჟონვა მას შემდეგ დაიწყო, რაც მუხაძე მოვიდა დირექტორად. თამაზ მელაძის დროს ასე მასობრივად არ ხდებოდა გაუპატურების ფაქტები. შესაძლოა, იყო ერთი-ორი შემთხვევა, როდესაც იყო დავალება. ციხე ასეა მოწყობილი — არის მომსახურე პერსონალი და არის ერთი კატეგორია ადამიანებისა, რომლებსაც ეძახიან „ქათმებს“, ანუ ჰომოსექსუალები და რომლებიც აკეთებინებენ ყველა ბინძურ საქმეს — კანალიზაციის გაწმენდა, ნაგვის გატანა და ა.შ. იქ შესული ადამიანი პრაქტიკულად დაღუპულია. ის მიუღებელია როგორც ადმინისტრაციისთვის, ასევე სხვა პატიმრებისთვის. ხდებოდა ადამიანების გაფუჭება.

— ადამიანების გაფუჭებაში რას გულისხმობთ?

— ადამიანი რომ შემოდიოდა გარედან, ის შეყავდათ მათთან კამერაში, ტოვებდნენ შიგნით და ის ადამიანი ფუჭდებოდა. ასე ღუპავდნენ ადამიანებს თამაზ მელაძის დროს. ბევრი ადამიანი დაღუპეს. ის კადრები, რომლებიც ჩვენ ვნახეთ, გადაღებულია მუხაძის დროს. მუხაძემ რეჟიმის უფროსად გადმოიყვანა ოლეგ ფაცაცია და მათ აკეთეს ყველაფერი, რომ ადამიანები გაეუბედურებინათ, დაეთრგუნათ.

— ოლეგ ფაცაციაზე ლეგენდები დადის. შევხვდი პატიმარს, რომელიც ამბობს, რომ ფეხით მკლავი მოტეხა. თუმცა, ის ყველა ბრალდებას უარყოფს და თავს უდანაშაულოდ თვლის...

— პირადად ვარ მომსწრე, როგორ ცემდა ფაცაცია საკუთარი ხელით პატიმრებს ე.წ. ჩხრეკის დროს. გამოყვანილი ვიყავი კამერიდან და ვუყურებდი როგორ უსწორდებოდა პატიმრებს. თმაში ჰქონდა ხელი ჩავლებული და მუხლს ურტყამდა სახეში. ამ ყველაფერს მაჩვენებდნენ იმისათვის, რომ, მათი გაგებით, ჭკუა მესწავლა. როცა ამაზე ვწერდი და გარეთ გადიოდა ეს ინფორმაცია, მერე მოჰყავდათ ჩემი მეგობრები და ჩემს თვალწინ სცემდნენ, რომ დაწერილი ინფორმაცია გარეთ არ გამეგზავნა.

— მეგის ქარდავა შემოდიოდა ციხეში?

— ბუნებრივია — კი. და რა დავალებაც ჰქონდა იმ დავალებას აგროვებდა. მეგის ქარდავამ, ბაჩო ახალაიამ, ლაშა ბრეგვაძემ და სხვა ადამიანებმა შექმნეს ეს სისტემა. მეექვსე დაწესებულებაში იყო შემთხვევა, როდესაც პატიმრებს აშიშვლებდნენ და ისე სვამდნენ საკანში. პასუხი უნდა აგოს ბაჩო ახალაიამ, რომელმაც შექმნა ეს სისტემა. პასუხი უნდა აგოს პროკურატურამ, რომელსაც კონტროლი ევალებოდა.

ბევრი ჩემი მეგობარი ჰყავთ მორგში ნაცემი. ღამეს ათენებინებდნენ ადამიანებს მორგში. სასამართლოდან გადავყავდით კამერაში და დერეფანში ვნახე, ფეხმოტეხილი პატიმარი ეგდო. წვივში ჰქონდა ფეხი გადატეხილი ცემისაგან. ეს ადამიანი ითხოვდა გადაყვანას და იმხელა ტკივილს განიცდიდა, რომ გაითიშა. ვერ გავუძელი ამის ყურებას, სულ თან დამქონდა გადატეხილი „ბრიტვა“.

— „ბრიტვა“ რატომ დაგქონდათ?

— ჩემზე ზეწოლა რომ მომხდარიყო, გადაწყვეტილი მქონდა, რომ საკუთარი თავი დამეზიანებინა. ამოვიღე ეს ბრიტვა და ვუთხარი, რომ საკუთარ თავს დავიჩეხავდი თუ ამ ადამიანს დახმარებას არ აღმოუჩენდნენ.

— როდესაც ციხის კადრები გავრცელდა, რა ვითარება შეიქმნა ციხეში?

— იმ დღეს დაინგრა სისტემა. ჩვენ რომ ვნახეთ რა გააკეთა „რუსთავი 2“-მა, მივხვდით, რომ კადრები გარეთ გავიდა.

— იცოდით ამ კადრების არსებობის შესახებ?

— ვიცოდი, რომ შანტაჟისთვის ასეთი კადრები იწერებოდა. სულ მქონდა განცდა, რომ სააკაშვილის რეჟიმის რღვევა ციხიდან მოხდებოდა. ხათუნა კალმახელიძემ იცოდა ყველაფერი, რაც ხდებოდა გლდანის ციხეში, ასევე — შაშკინმაც. მათ იცოდნენ ყველაფერი. გიორგი ალხაზიშვილი გალახეს ციხეში, მისი დედა მივიდა კალმახელიძესთან და მან უთხრა, თუ ჭკვიანად არ იქნებით, თქვენი შვილის გვამს მიიღებთო, ეს ქალბატონი დაგიდასტურებთ ამ დიალოგს კალმახელიძესთან. ის არის ყველაფერზე პასუხისმგებელი — მას ევალებოდა კონტროლი.

— აპირებთ თუ არა თქვენი უდანაშაულობის დამტკიცებას?

— ბუნებრივია, ვაპირებ ნასამართლეობის მოხსნას და ჩემი თავის რეაბილიტაციას. ეს არის ჩემი მიზანი და ამას მე გავაკეთებ. თითქმის ყველაფერი ბოლომდეა მიყვანილი. ჩემი მოთხოვნაა, დაისაჯონ ის პირები, რომლებმაც მე უკანონოდ დამაკავეს. ეს არის ირაკლი ყიფშიძე, ერეკლე კოდუა, რომელმაც თავიდან ბოლომდე ჩაატარა ჩემი დაკავების ოპერაცია. მან დაიჭირა ე.წ. დაზარალებულის და, რომელსაც ჩაუდო ნარკოტიკი და ეს ოჯახი აიძულა, რომ თავისი და გაეცვალა ჩემს თავში. ესენი არიან ის პროკურორები, რომლებსაც ჩემი საქმე მიყავდათ. უფლებამოსილება უნდა შეუწყდეს ჩემს მოსამართლეს დავით ჯუღელს. ზოგადად, ჩემი მოთხოვნაა, გასამართლდეს სააკაშვილის რეჟიმი და მოხდეს იმ ადამიანების რეაბილიტაცია, რომლებიც წლების განმავლობაში უკანონოდ იმყოფებოდნენ ციხეში.

თამთა ძარჩავა

◎ ინფორმაცია

„გალფმა“ საწვავის ფასს დაუკლო



„გალფის“ ქსელში საწვავის ფასი 5-7 თეთრით შემცირდა. როგორც კომპანია „გალფის“ მარკეტინგის მენეჯერმა კახა კირთაძემ განაცხადა, „გალფმა“ ფასები საწვავის ყველა პროდუქტზე შეამცირა.

ევროდიზელზე - 7 თეთრით, ხოლო ყველა სხვა პროდუქტზე — 5 თეთრით მოხდა ფასის შემცირება.

მიმდინარე ფასები გალფის ქსელში ასე გამოიყურება: პრემიუმი — 2,10; ევრორეგულარი — 2,00; რეგულარი — 1,95; ევროდიზელი — 2,12; დიზელი — 2,00; გაზი — 1,05;

როგორც კომპანიის მენეჯმენტი აღნიშნავს, აღნიშნულ პროდუქტებზე ფასების შემცირების შესაძლებლობა საერთაშორისო ბაზარზე „პლაცზე“ ფასის კლებამ განაპირობა.

აღსანიშნავია, რომ „გალფის“ ქსელში საწვავზე ფასების კლების ტენდენცია კვლავ გრძელდება. ბოლო 5 თვის განმავლობაში „გალფის“ ქსელში საწვავის ფასმა 13-15 თეთრით დაიკლო. კომპანია ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესს და კვლავაც განაგრძობს ამ საკითხზე მუშაობას, რათა საუკეთესო ფასი შესთავაზოს მის მომხმარებელს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჩვენი პუბლიკაცია

ჯანსულ ღვინჯილია

დიდი იმპერიელი

ამონარიდი დაუმთავრებელი რომანიდან - „განსაცდელი - XXI საუკუნე“



ჯანსულ ღვინჯილია დაიბადა 1940 წლის 14 ოქტომბერს, გარდაიცვალა 2001 წლის 27 თებერვალს. ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ასპარეზზე შეუსვენებლივ მოღვაწეობდა 40 წელი. დაგვიტოვა წიგნები: „გიორგი სააკაძის პიროვნება“, „სული აღმაშენებელი“, „პოეტური ენერგია“, „ქართველი კაცის სინამდვილე“, „ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა“, „ზომიერების გრძნობა თანამედროვე ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში“, პიესა „ახალი ცა“ (დავით აღმაშენებლის ცხოვრება), უკანასკნელი წლების პუბლიკაციები და ჩანაწერები: ინტერვიუები, შტრიხები პორტრეტისთვის, ციკლი — მისალმება და გამოთხოვება.

საკმაოდ სქელტანიანი შემოქმედების განხილვა, 800-1000-გვერდებიანი ოთხტომეული ხუთ წიგნს რომ მოიცავს, რომლის გამოცემაც 2005 წელს გაასრულა მწერლის მეუღლემ ქალბატონმა ნანა ახობაძემ, ამ გაზეთის ფურცლებზე დღესდღეობით ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. ჩამოთვლილ კრიტიკულ-პუბლიცისტურ-დრამატურგიულ ნაწარმოებებთან ერთად, მწერალმა თავისი კალამი ბელეტრისტიკაშიც მოსინჯა და საკმაოდ წარმატებული, მკითხველისთვის საყვარელი რომანი დაგვიტოვა. ეს გახლავთ „ქართლოსის საფლავი“, რომელიც მწერლის სიტყვებით, „მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების მიჯნაზე შეგვახვედრებს ყველა დროის ქართველებს ერთმანეთს“. სიცოცხლის ბოლოს მწერალი ინტენსიურად მუშაობდა ზემოხსენებულ ჟანრში. დილოგიის მეორე რომანად „ოცდამეერთე საუკუნე“ ჰქონდა ჩაფიქრებული. ეს ნაწარმოები მწერალს დაუმთავრებელი დარჩა. ბოლო სტრიქონები დათარიღებულია 2000 წლის 4 აპრილით.

უკიდურესად ჩქარი კალიგრაფიით შესრულებული ხელნაწერის პირველი პირი მწერლის მეუღლემ გაშიფრა და მეოთხე ტომში შესთავაზა მკითხველს. სანამ უშუალოდ ნაწარმოების წერას შეუდგებოდა, მწერალი მოკლედ მოხაზავს წიგნის ჩანაფიქრს. ჩვენ ვეცნობით ამ ჩანაფიქრს:

„ზოგადი გააზრება: „ოცდამეერთე საუკუნე“ დილოგიის მეორე რომანია.

XIII-XIV საუკუნეების ქართველობა — „ქართლოსის საფლავის“ პერსონაჟები ძირითადად გადმოდიან ოცდამეერთე საუკუნის მიჯნასთან.

იწყება მათი ცხოვრება სულ სხვა დროსა და სივრცეში.

ვიმეორებთ, ბოლო თარიღი 2000 წლის 4 აპრილია. სულ 14 თავის დაწერა მოესწრო: გარდასახვა, პოდიუმი, მრავალფეხა, ლუარსაბი, ცვეთა, დალალი, დიდი იმპერიელი, მადლი და ნიშანი, ბანა, კრემლი, თამთა, ნატა, საჭეთმპყრობელი, სვეტი.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ 14 თავი ცოტაა იმ ჩანაფიქრის აღქმისთვის, რომელიც შესავალშია გაცხადებული. მაგრამ, რაც დაწერილია, იწვევს დიდ ემოციას და სრულ წარმოდგენას გვიქმნის განსაცდელზე, XXI საუკუნის მანძილზე რომ შეიძლება განიცადოს ქართველმა ადამიანმა და ჩვენმა ქვეყანამ.

პატარა ამონარიდი გვსურს შევთავაზოთ მკითხველს და, თუმცა, მას მწერალი „დიდ იმპერიელს“ უწოდებს, გვსურს ერთი მინიშნება დავურთოთ მას — წინასწარმეტყველება — ამღვრეული საქართველოს თანამედროვეობა.

როდესაც ქვეყნის თავს დატეხილ ჭირზე — ათასგვაროვანსა და გაუსაძლისზე დაფიქრდებოდა, ქართლოსს ასეთი სურათი წარმოუდგებოდა, დიდ ქვევრთან იდგა ლაჯებგაშლილი ახმახი, უსახური კაცი... უსახური იმად ეჩვენებოდა, რომ სახეს არ აჩვენებდა, გვერდზე ჰქონდა მიბრუნებული: ქერათმიანი ჩანდა, კეფა ამხელდა, ძალიან მაღალი იყო, თვალის აწვდენა ჭირდა. გრძელ ხელებში კიდევ უფრო გრძელი ჭოკი ეჭირა ახმახს. უნებურად დიდი იმპერიელი შეარქვა ქართლოსმა, თავადაც ვერ გაერკვია, რატომ შეარქვა. იგრძნო, რომ რაღაცამ უკარნახა, ეს იქნებოდა ზუსტი სახელი. დიდი იმპერიელი ხან გაიმართებოდა, ხანაც ოდნავ წელში მოიხრებოდა, მარჯვენა მუხლს შეათამაშებდა და მთელი ძალით ურევდა ქვევრში ჭოკს. ჭოკი იყო ხორკლიანი, ალაგ-ალაგ გამრუდებული, კორძიანიც და მსხვილიც. უბრალოდ, დიდი იმპერიელი იყო იმ სიმაღლისა და ისე გრძელი ხელები ჰქონდა, წვრილ ჭოკად აღიქმებოდა პირთამდე ავსებულ ქვევრში დატრიალებული ვეებერთელა კეტი.

ახმახი ცდილობდა, ფსკერიდან წამოეღო წამოსაღები. ასეთ დროს იხრებოდა უფრო დაბლა და მთელი ძალით აბრუნებდა კეტს. ფსკერზე ჭაჭა და მთხლე იყო, ბუნებრივია, ის კი, ყველას კარგად მოგვეხსენება, ერთი სქელი, ბლანტი მასაა, ასე ადვილი არ არის, მისწი-მოსწიო, თანაც ზემოთ ამოყარო. ქართლოსმა იცოდა, რა იდგა ქვევრში, სულ ახლად დაწმენდილი დალოცვილი კახური ღვინო. ქვევრი ასოცფუთიანი გახლდათ. უყვარდა ამ ქვევრთან ტრიალი, მით უმეტეს პირთამდე სავსე უზარმაზარი ქვევრის თვალიერება. თუკი მზის სხივი დაეცემოდა თავმოხრილ ქვევრს, სასწაულს იხილავდა კაცი. სხივი ოქროსფერ ღვინოს გაჭრიდა, ჭაჭამდე დავიდოდა და შეგეძლო დაგეთვალა ის ჭაჭა, ისე გაკაშკაშდებოდა ღვინო. შეგეძლო გეთქვა, რომ სასწაული გიჩვენა ღმერთმა. ასეც განიცდიდა. ამ ქვევრს მისდგომოდა ახმახი ვეება ჭოკით და ამ მზეგამტარ თხიერს ამღვრევდა. ქართლოსს ასე წარმოუდგებოდა სურათი, სურათს ერთი დეტალიც ემატებოდა: ქართლოსი ლაჯებშუა ახერხებდა თავის გაყოფას ისე, ახმახს რომ არ შეემჩნია, და ხედავდა რა ხდებოდა ქვევრში.

ამოექოთებინა ახმახს სამოთხე. სადღა იკო კამკამა რქაწითელი, მისი ლაპლაპი. გაზაფხულის ნიაღვარს დამსგავსებოდა დალოცვილი, მთხლე და ჭაჭაც, რომელიც უკვე იმ მთხლეს შეესვარა, ღვინოში გადარეულიყო. წვეთი რაა, წვეთი არ დარჩენილიყო შეუმღვრეველი.

რისი შეუმღვრეველი, გამთხლევებულიყო მირონივით ღვინო. გულზე მარწუხებშემოჭერილი ქართლოსი ამ სურათს გაერიდებოდა და ისევ შორიდან უცქერდა ახმახს, რომელიც იშვიათი მონდომებით ატრიალებდა ჭოკს ქვევრში და ათქვეფილ თხიერს, ლაღად გადაქცეულ რქაწითელს, ნეტარებით გაჟღენთილი სახით დასცქეროდა. სახე ქართლოსისათვის კვლავაც დაუნახავი რჩებოდა.

დიდი იმპერიელი იღვწოდა.

* * *

ხედავდა სხვა სურათსაც, უფრო მასშტაბურს და, რაც მთავარია, უფრო დინამიკურს, საოცრად დინამიკურს. ხედავდა კუდზე დატრიალებულ გველეშაპს, რომელიც თითქოს სადღაც გადახვეწას და გაცლას აპირებდა, მაგრამ მოსასწრებს ასწრებდა, ხან ქალაქად გაიშლიგინებდა, ხანაც სოფლად. მუცლის ქვემოთ უკანალი ეხსნებოდა წარამარა და საქართველოს ქალაქებსა თუ სოფლებს, მინდვრებსა თუ მთებს, მხარეებსა და კუთხეებს უცნაური სისწრაფით მიასვრიდა ადამიანთა ფიგურებს. მათი სახეებიც ელვის დარად იკვეთებოდა: თუ აბაზაძე, თუ ყაფლანიშვილი, თუ ქობულისძე, თუ დონაური, თუ ბაღუში, თუ კახბერისძე, თუ მხარგრძელი, თუ კარიჭისძე, თუ სამძივარი, თუ ნასიძე, თუ ქვენაფავლენელი, თუ ქაჩიბაძე, თუ მათი მსგავსნი. მიასვრიდა, განავლიდან წამოიმართებოდნენ და უსირცხვილოდ მოედებოდნენ ქალაქსაც და სოფელსაც, მთასაც და ბარსაც. გათხვრილ ქვეყანას ხედავდა.

* * *

ხედავდა უფრო თავზარდამცემ სურათს: დიდი იმპერიელი მისი საფერი უზარმაზარი ვერტმფრენით დასტრიალებდა თავს მყინვარწვერს, კაცის სიმსხო ჯაჭვით ეკიდა ვეებერთელა კასრი, რომელიც ერთხანს უმიზნა მყინვარწვერის შუბლს და გაუშვა მერე. ვეებერთელა კასრი დაეხეთქა საქართველოს შუბლს, გასკდა და განავლით ჩამოიღვარა მყინვარწვერის სახე. კამკამა, გამჭვირვალე, ცისფერი ძარღვებით დაქსელილი წმინდა სული, რომელიც მის სპეტაკ წვერზე იყო დავანებული და ათინათივით დასციმციმებდა იმ სიმაღლიდან ქვეყანას, სადღაც გაქრა, აქოთდა მყინვარწვერი, ლავასავით დაიძრა განავალი სახიდან მხრებისკენ, ტანისკენ, მარჯვნივ და მარცხნივ გატოტვილი მკლავებისკენ, ჩამოლოფა და ჩამოაქოთა. დიდმა იმპერიელმა აჭრა სივრცე გვერდულად. უზარმაზარი ვერტმფრენის ღია კაბინიდან გადმოიხარა და კვლავ ნეტარებით გაჟღენთილი სახით გადმოხედა გათხვრილ მყინვარწვერს, თითქოს მთელს ქვეყანას გადმოასხა გესლიანი ღიმილი. ასეც იყო — მთელი ქვეყანა ჩანდა მყინვარწვერის მაღლა აჭრილი ვერტმფრენიდან.

ქართლოსი ფანჯარასთან იდგა, მოუსვენრობდა, ზოგჯერ უკან მოუხედავად გადმოდგამდა რამდენიმე ნაბიჯს, ხელით მოისინჯავდა ზურგს უკან და სკამზე ეშვებოდა. ფანჯრიდან მთის ქედი და ცისკიდური ჩანდა. სივრცეებისკენ იხმობდა ცისკიდურიც და მთის ქედიც.

სურათები კალეიდოსკოპური სისწრაფით გარბოდნენ.

* * *

ხედავდა ქართლოსი: მოერია საქმეს დიდი იმპერიელი, აეთქვიფა ასათქვეფი უკვე, აღარ სჭირდებოდა წახრა და ჭოკის ღონივრად დატრიალება, მიჰყვებოდა მის ნებას ადგვეფილი თხიერი. წელში გამართულიყო ამიტომაც, მსუბუქად იქნევდა მკლავებს. ერთიც მოიხედა — გულმა რეჩხი უყო ქართლოსს. ეცნო. დიდი იმპერიელის სახეს არელმანელის სახე შეზრდოდა. ვერ იტყოდა ის არისო, მაგრამ ისე ჩამოჰგავდა! მარტო იმპერიელი არისო, ვერც ამას იტყოდი ამიტომაც.

ქვევრი დიდი იყო — ასოცფუთიანი.

დიდი იმპერიელი უფრო დიდი იყო, ჭოკიც ძალიან გრძელი ეპყრა ხელთ. ფეხები განივრად გაელაჯა, ლაღად იდგა და ნეტარებდა.

დიდი იმპერიელი და მისი ნაშიერი

უკანასკნელი წლების ჩანაწერებიდან:

ჩვენ ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნების დასაწყისში ვართ. სავსებით გასაგებია, ამდენი ხნის ლოდინით ზამბარასავით შეკუმშული მოუთმენლობა რა სისწრაფით ლამობს სივრცეში გაშლას, მაგრამ სულსწრაფობით დიდი მოვლენები ვერავის მოუხდენია, ვერც ჩვენ მოვახდენთ მას. ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნები საქართველოსაც შეეხება, ჩვენც მოვახდენთ მას... და უბრალოდ მოვალენი ვართ, იობის მოთმინებით, დროის დაუკარგავად, მაგრამ სტრატეგიული აუჩქარებლობით გავემართოთ დასახული მიზნისკენ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რეზო ამაშუკელი

მწარე ლექსი

ბატონმა რეზო ამაშუკელმა „მწარე ლექსი“, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ჯერ კიდევ 2001 წლის თებერვალში დაწერა, მაგრამ როგორ მიესადაგება იგი დღევანდელ რეალობას!

დიაღაც, დამაგვიანდა ზოგ-ზოგის გასილაქებაო! — ლექსის დასაწყისშივე ისეთი დანანებით ამბობს პოეტი, თითქოს გუშინდელი, 2013 წლის 17 მაისის აქციის შთაბეჭდილებებით იყოს დატვირთულ-გამწარებული: „ნეტავ, რა დედამ გაზარდა ამდენი, ამისთანაო?!“ ...„საიდან გამოლასლასდა მაინც ამდენი ცვედანი?!“ „ბიჭი ბიჭს ეჟღურტულება, ისე, ვით ქედანს ქედანი... — „ეს არის მათი უფლება!“ — გვიდასტურებენ ნეტარნი“...

„დილაც ნუ გამთენებია, თუკი თხლემ ღვინოს აჯობა! — ამბობს ყოველივე ამის შემდეგ პოეტი, რითაც თითოეული ნორმალური ქართველის გულის ნადებს გამოხატავს! და გიხაროდენ, ბატონო რეზო, ჭეშმარიტო ქართველო მართლმადიდებელნო, — გუშინდელმა დღემაც დაადასტურა, რომ საქართველოში თხლე ვერასოდეს ვერ აჯობებს ღვინოს!

არც არვის ვემახსოვრები,
როცა წავალ და დავცხრები...
...ირგვლივ მგლები და
მსტოვრები,
ოქრო და ვერცხლით მაძღრები!..

დროდადრო აყრის, ნიადაგ,
ქართველს ღალატი ლაქებად!
— დიაღაც,
დამაგვიანდა
ზოგ-ზოგის გასილაქებაა!..

რამე ახალი როდია
იზრახდნენ
მათი მამებიც...
— თავიდან მიდი-მოდიან
ცნობილი შადიმანები!..

მივალ და არცრა მიმყვება
ბედისგან დასაყვედრები...
— ირგვლივ სიმღერა იღვრება
ხმადაწვრილებულ მდედრებისს!..

ჩარიგებულან ინახად,
— სხვა მანჭვა-გრეხა აგორდა!..
მე კი იშხნელებს ვინახავ
უგამჭვირვალეს აკორდად...

ვინც ჩაიარა ბაზართან,
ყველა ღნავის და ქანაობს...
— ნეტავ რა დედამ გაზარდა
ამდენი,
ამისთანაო?!

თუ გული,
ძმობის გამტანი,
ნეკნებს არ ანგრევს ბაგუნით,
თუ არ გინახავს ატამი
შუა ვენახში დარგული.

ან საფერავის გიშერით
მარანი გამობრანგული,
— ვერც ინგლისური გიშველის,
ვერც ვერაფერი ფრანგული!

ვინც ლაპარაკი იცოდა —
— მზა დახვდა მოფარდაგული!
სჯობს საქმით განამტკიცოს და
აგურს დაადოს აგური!

— ჩემივე ხელით დაკლულო,
გულო, ჯვარზე ხარ გაკრული!
— ვერ,
ვერ იმღერებს „ჩაკრულოს“
კაცი სუსტი და ნაკლული!

...რას არ ნახავ და მოისმენ
ამ აჭრელებულ ეკრანით: —
— იმედი უნდა მოისპო,
ან ტყვია იკრა ბერდანის!

ბიჭი ბიჭს ეჟღურტულება,
ისე, ვით ქედანს ქედანი...
„— ეს არი მათი უფლება!“
გვიდასტურებენ „ნეტარნი“.

— მტერი არაა მის მეტი
არვინ გამოდგეს მხედარი!
ან ვინმე მაინც მისმენდეს,
გულბაათი და შედანი!..

მისაგებებლად არსლანთან
ვაჟკაცებს ზრდიდნენ დედანი,
— საიდან გამოლასლასდა
მაინც ამდენი ცვედანი?!

თუ სათქმელს აღარ ვინახავ,
თუ დამცდა
სიტყვა კაცური,
— ვიცი, ატყდება, წინასწარ
გესლით ტუჩების ცმაცუნი!

თავი რომ მოაქვთ
თავმდებად,
ბევრს ვნახავ სახეგაზეთილს
ბალღამით აფრიალდება
რამოდენიმე გაზეთი!...

რეგვენი ჭკუას გვარიგებს,
ვართ უარესის ღირსები,
— ხმას რომ არავინ არ იღებს,
დოღი დგას საჭურისებისს!..

დრო რომ ამგვარად წახდება,
გზაც აღარ მიდის არსაით...
სხვაც ბევრი შემომახტება
მეზობლის ფინიასავით!..

ხან ვიწყებ სმას და ბორიალს,
ხან
თავის მოკვლა მწადია...
„ლეკვი ლომისა სწორია
ძუ იყოს, გინდა ხვადია!“

მიტომაც მინდა დანარჩენ
სიცოცხლეს ვუთხრა უარი,
— ადვილად ვეღარ გაარჩევ
ხვადი არი თუ
ძუ არი!..

აწ განმკითხავი ვინ არი?
ან მე
რაისთვის ვირჯები?!
— მალე დადგება მდინარე
პომადიანი ბიჭების!

ვარ გზაზე ჩამორჩენილი,
თუმც
ამ გზას მივე ყოველი!..
— ზოგს ენატრება ლენინი,
ზოგს კიდევ იეღოველი!..

რასაც ვწერ
მავან ვნებიანს,
სურს ჩამითვალოს ქაჯობად...
— დილაც ნუ გამთენებია
თუკი თხლემ ღვინოს აჯობა!..

არ ვარ გაზრდილი აზიზად,
წვეთ-წვეთად
თითო-თითოთი!
— მწარეა, მაგრამ რას იზამ,
სხვაგვარად
მე ვერ ვიტყოდი!..

ან რაღად უნდა ველოდე
სხვა რამეს
სადღეხვალიოდ?!
— იმ ბოლო სადღეგრძელომდე,
რა სადღეგრძელო დავლიო?!

წავედი
აღარ მცალია,
ნაძირალების სადევად...
— ან ვინმე მომკლავს,
ან ვინმეს
თავად გავუყრი სატევარს!

...შენ
ჩემო სიყმაწვილეო,
სად წაიყოლე „ლილეო“?!
ნატვრის ხე რატომ დააჭკნე,
რაისთვის გამაწბილეო?!

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ინტერვიუს შემდეგ

პარალელი კოსოვოსთან

საძართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სატელევიზიო არხ „Euronews“-ს მისცა ინტერვიუ, სადაც მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე ისაუბრა. ერთ-ერთი თემა, რაზეც მან უცხოელ ჟურნალისტთან საუბრისას ყურადღება გაამახვილა, საქართველოს კონფლიქტური რეგიონების საკითხი იყო.

ჟურნალისტის კითხვაზე — „სერბეთმა და კოსოვომ გააკეთეს განცხადება ურთიერთობების ნორმალიზების შესახებ და დაიწყეს მუშაობა შესაბამის შეთანხმებაზე ბრიუსელში. იქნება თუ არა ეს მაგალითი სტიმული თბილისისთვის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების თვალსაზრისით?“, ბიძინა ივანიშვილმა უპასუხა, რომ ეს საქართველოსთვის ძალიან კარგი მაგალითია.

„ეს ძალიან კარგი მაგალითია და ეს მაგალითი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მსოფლიო იცვლება და ადამიანებმა, რომელთა ურთიერთობებიც წარუმატებლად ვითარდებოდა წარსულში, ახლა საერთო ენა გამონახეს და სხვადასხვა გზით შეთანხმებას მიაღწიეს. ასე რომ, ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმალური ძალისხმევა და საერთო ენა გამოვნახოთ ჩვენს ოს და აფხაზ ძმებთან და, რასაკვირველია, უნდა მივაღწიოთ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას“, — განაცხადა პრემიერმა.

მის ამ ფრაზას საქართველოში სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა. საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ჩიორა თაქთაქიშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რომ აგვისტოს ომის შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის შექმნით, საქართველო მივა იქამდე, რომ ჩვენი ქვეყანა, როგორც სახელმწიფო ომის დაწყებაში იქნება დადანაშაულებული, ხოლო პრემიერ-მინისტრი იმისთვის ემზადება, რომ კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობაში კოსოვოს მაგალითი გამოიყენოს.

„ეს მიგვიყვანს იქამდე, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო იქნება დადანაშაულებული ომის დაწყებაში. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ექნება ვალდებულება, აღიაროს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. შემთხვევითი არ არის, რომ პრემიერ-მინისტრმა „ევრონიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა, რომ დიახ, ის ამისთვის ემზადება. ის ემზადება იმისთვის, რომ კოსოვოს მაგალითი, რომელიც არის საპირისპირო მაგალითი საქართველოსთან შედარებით, საპირისპირო არის იმიტომ, რომ კოსოვოში, კოსოვოს მოსახლეობა იყო მსხვერპლი აგრესიისა, ზუსტად ეს მაგალითი გამოიყენოს და დაადასტუროს, რომ ჯერ საქართველომ განახორციელა აგრესია 2008 წლის ომის დროს და შემდგომში სწორედ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის მარიონეტულ რეჟიმებს აქვთ დამოუკიდებლობის უფლება. სწორედ ამას ემსახურება დღეს ოკუპაციის კანონის განხილვაც და გთხოვთ, ყურადღება გაამახვილოთ იმ სავალალო შედეგებზე, რომელიც თქვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას შეიძლება, მოყვეს“, — აღნიშნა თაქთაქიშვილმა.

იმავე თემაზე ისაუბრა ასევე საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა, რომელმაც განაცხადა, რომ მმართველი გუნდი პრორუსულ პოლიტიკას ეწევა და ქართველმა ხალხმა გარკვეული არჩევანი უნდა გააკეთოს.

„ამიტომ, ამიერიდან, ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, გააგრძელებს ის საგარეო პოლიტიკურ კურსს თუ სოჭის ოლიმპიადაზე გავემგზავრებით და უთავმოყვარეოდ მივესალმებით პუტინს, თუ საქართველოს შევადარებთ სერბეთს — ეს არის დილემა და ეს არის არჩევანი საქართველოს წინაშე. მე ვფიქრობ, საქართველო გააკეთებს არჩევანს პატრიოტების და არა რენეგატების სასარგებლოდ“, — განაცხადა წიკლაურმა.

იმის გასარკვევად, თუ რას გულისხმობდა პრემიერი კოსოვოს მაგალითთან დაკავშირებით და როგორია ამ მხრივ მმართველი გუნდის პოზიცია, for.ge საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, კონფლიქტოლოგ **გია ვოლსკის** დაუკავშირდა. დეპუტატი განმარტავს, რომ პრემიერმა ამ შემთხვევაში ისაუბრა ადამიანურ ურთიერთობებზე და არა პოლიტიკურ პარალელებზე. ვოლსკის თქმით, საქართველო დაინტერესებულია ბალკანეთში სტაბილურობით და მშვიდობიანი ვითარებით, სერბებს და კოსოვარებს კი ერთმანეთისთვის სერიოზული დარტყმები აქვთ მიყენებული. დეპუტატის განმარტებით, ახალი ევროპული ვითარება ითვალისწინებს, რომ ეს ორი სახელმწიფო (რადგან კოსოვო ზოგიერთ სახელმწიფოს აღიარებული ჰყავს) ერთმანეთთან კარგ ურთიერთობაში იყოს.

„ეს საკითხი ადამიანური ურთიერთობების თემას მოჰყვა. რაც შეეხება პოლიტიკურ პარალელებს, ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკური პარალელები არც გაუვლია და ვერც გავლებდა, ვერც ივანიშვილი და ვერც ერთი სხვა პოლიტიკოსი, რადგან იქ სულ სხვა სისტემაა, მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა და ამიტომ, აქ პოლიტიკური პარალელების გავლება აბსოლუტურად შეუძლებელია“, — აცხადებს გია ვოლსკი.

მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები პრემიერ-მინისტრის განცხადებას არასწორ ინტერპრეტაციას აძლევენ. დეპუტატი აცხადებს, რომ სწორედ ნაციონალების დანაშაულებრივი შეცდომების მთელი კასკადი არის იმის მიზეზი, რომ საქართველო ამ მდგომარეობაშია ჩავარდნილი და ჩვენი ტერიტორიები არის ოკუპირებული. ამიტომ „ნაცმოძრაობის“ წევრები ცდილობენ არსებული ვითარება სხვადასხვა ფაქტებით გადაფარონ და ხმაური ატეხონ ისეთ რამეზე, რაზეც სულ არ არის ხმაური ასატეხი.

„ყოველთვის ერთსა და იმავე კითხვას ვსვამ — ჩვენ გვაქვს რაიმე გამოსავალი? შეგვიძლია რამე შევცვალოთ? ხომ არ შეიძლება მუდმივად დასავლეთზე აპელირება, რომ ის დაგვიბრუნებს ტერიტორიებს, ან ხომ არ შეიძლება რუსეთზე მუდმივად საუბარი, რომ მოველაპარაკოთ რუსეთს და ისინი დაგვიბრუნებენ ტერიტორიებს. საჭიროა ახალი, კომპრომისული მიდგომა, რომელიც არც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას დააყენებს ეჭვქვეშ და აფხაზებისთვისაც მისაღები იქნება, ასევე შეიძლება რუსებისთვისაც, რომლებიც იქ სიტუაციას აკონტროლებენ“, — ამბობს მამუკა არეშიძე.

მისი თქმით, ვერც ვაშინგტონმა და ვერც ბრიუსელმა ეს საკითხები ვერ მოგვიგვარა. ამასთანავე, კოსოვოს აღიარებამ, თავის დროზე, საქართველოს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. არეშიძის განცხადებით, 2008 წელს პუტინმა გრიგოლ ვაშაძეს პირდაპირ უთხრა, რომ საქართველო დაისჯებოდა იმის გამო, რომ ჩვენმა მოკავშირეებმა რუსეთის მოკავშირეებს ასეთი ძლიერი დარტყმა მიაყენეს, როცა კოსოვო აღიარეს და საქართველო აგვისტოს ომის შემდეგ მართლაც დაისაჯა. ამიტომ, მამუკა არეშიძე მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი მართალია იმაში, რომ საჭიროა ახალი მიდგომები, თუმცა, რა სახის მიდგომები იქნება, ეს ცალკე საკითხია. ექსპერტი განმარტავს, რომ ეს კომპლექსური საკითხია, რომელშიც პოლიტიკაც არის ჩადებული და ჰუმანიტარული ურთიერთობებიც. ამასთანავე, არეშიძე მიიჩნევს, რომ ივანიშვილმა სწორი გააკეთა, როდესაც „Euronews“-თან ამ თემაზე ისაუბრა, რადგან ამით მან დასავლელი ლიდერებისთვის და არა მხოლოდ მათთვის გარკვეული გზავნილი გააკეთა.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძის თქმით, იგი ნამდვილად ვერ იტყვის, რომ ეს კარგი ინტერვიუა, რადგან დასმულ კითხვაზე უხერხულად არის პასუხი გაცემული. აქვე ექსპერტი ხაზს უსვამს, რომ ივანიშვილს სჩვევია, გააკეთოს ისეთი განცხადება, როგორც სიტყვაში გამოუდის და შემდეგ უწევს ხოლმე ამ თავის ნათქვამთან დაბრუნება. ამიტომ ექსპერტი მიიჩნევს, რომ ესეც ისეთი შემთხვევაა, როდესაც მეტი განმარტების გასაკეთებლად ივანიშვილს ამ განცხადებასთან დაბრუნება მოუწევს.

„ეს განცხადება ისეც იკითხება, როგორც ბატონმა გია ვოლსკიმ განმარტა და ისეც, როგორც ნაციონალები ამბობენ. ამ ვარიანტებში, რა თქმა უნდა, გასარკვევია, რა იგულისხმა პრემიერმა“, — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

მისი თქმით, თუ ამ პარალელზე ზოგადად ვილაპარაკებთ, მთელი ეს დრო ჩვენც და სერბეთიც არ ვაპირებდით სეპარატიზმთან შერიგებას, მაგრამ განსხვავება არსებითია - კოსოვოს სეპარატიზმი დააკმაყოფილა მთელმა მსოფლიომ, ანუ დამოუკიდებელ ქვეყნად აღიარა, ხოლო აფხაზეთის და ოსეთის სეპარატიზმი მსოფლიოსთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ექსპერტის თქმით, ამ განსხვავებაში გარკვეული პლუსი დევს და ამ პლუსის დაკარგვა გაუმართლებელი იქნება ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის.

„არ მგონია, ივანიშვილი იყოს ის პოლიტიკოსი, რომელიც ამ პლუსის გამოყენებაზე არ ფიქრობდეს, მაგრამ მან, სავარაუდოდ, სხვა რამ იგულისხმა, დაახლოებით იგივე, რაც — ვოლსკიმ. თუმცა, ტექსტი ისეა ნათქვამი, რომ მას დაზუსტება სჭირდება“, — აღნიშნავს ექსპერტი.

რუსიკო უშიკიშვილი

დედამიწის ზურგზე

ზაკაევის ყოფილმა მცველმა აღიარა, რომ ცარნაევებთან „სვამდა ჩაის“ და ახლა ეშინია

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩეჩენი ლტოლვილებისადმი გამოძიების აქტიურ ინტერესთან დაკავშირებით დიასპორის წარმომადგენლებს ეშინიათ, რომ კვლევის ფედერალური ბიუროს მიდგომაზე 15 აპრილის აფეთქებებისადმი გავლენას მოახდენს რუსეთის ხელისუფლება, რომელიც დაინტერესებულია, რომ სახელი გაუტეხოს ემიგრანტებს. მუსა ხაჯიმურატოვი რამდენჯერმე დაკითხეს — ჯერ კეთილმოსურნეობით, შემდეგ — „როგორც დამნაშავე“.

რუსეთმა სირიაში სრულყოფილი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები გაგზავნა

საკითხი შეეხება „დედამიწაზღვის“ კლასის „იახონტის“ ტიპის რაკეტებს, რომლებიც მიაწოდეს ამ ქვეყანას ადრე, მაგრამ სრულყოფილი რადარებით, რაც მათ ეფექტიანობას ზრდიდა. ექსპერტები ამერიკის შეერთებულ შტატებში მათ „ხომალდების ნამდვილ

მკვლელებს“ უწოდებენ. ეს ცნობა შემოვიდა მოსკოვის გეგმების ფონზე — მიაწოდოს დამასკოს კიდევ სარაკეტო კომპლექსები S-300. თანაც, ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალების დაუდასტურებელი მონაცემებით, ეს რაკეტები უკვე სირიაშია.

აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი აწესებენ სანქციებს სირიაში იმ ოპოზიციის წინააღმდეგ, რომელიც დაკავშირებულია „ალ-ქაიდასთან“

სახელმწიფო დეპარტამენტმა „შავ სიაში“ შეიტანა დაჯგუფება „ჯებხატ ან-ნუსრას“ მეთაური, ლონდონი და პარიზი კი ცდილობენ, მიიღონ გაეროს აღიარება, რომ დაჯგუფება ტერორისტულია. ასე ცდილობენ ისინი ისლამელი რადიკალების მზარდი გავლენის შემცირებას, რათა განამტკიცონ „ზომიერი ძალების“ პოზიცია, რომელიც უპირისპირდება ბაშარ ასადს.

ტურისტებმა რუსეთიდან ვიეტნამის კურორტზე გამართეს ჩხუბი და დანებით დაერივნენ ერთმანეთს: ისინი ზღვის პირას სვამდნენ

როგორც მომხდარის თვითმხილველები იტყობინებიან, ურთიერთობათა გარკვევას წინ უსწრებდა ქეიფი ბარში, რის შემდეგაც ალექსანდრემ და ევგენიმ გააგრძელეს სპირტიანი სასმელის სმა ზღვის პირას. რუსეთელების ნაცნობებმა შეატყობინეს პოლიციას, რომ მამაკაცები ერთი მეორეს საუკეთესო მეგობრებს უწოდებდნენ. მიაჩანგში ისინი ჩამოვიდნენ ერთად და ცხოვრობდნენ სასტუმროს ერთ ნომერში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ დემოგრაფია

საქართველოში მოკვდავობის მაჩვენებელი საგანგაშოა!

მსოფლიოში სიკვდილიანობის მაჩვენებლის რეიტინგის მიხედვით საქართველო მესამე ადგილს იკავებს. აღნიშნულ ინფორმაციას ცნობილი ამერიკული გამოცემა Bloomberg Businessweek-ი აქვეყნებს. რეიტინგში სულ 200 ქვეყანა ფიგურირებს.

გამოცემის ინფორმაციით, სიკვდილიანობის მაჩვენებლის მიხედვით, რეიტინგში პირველ ადგილს იაპონია იკავებს, სადაც 2050 წლისთვის მოსახლეობა 25,3%-ით შემცირდება, მეორე ადგილს — უკრაინა (-23,1%), საქართველო (-22,6%), ბულგარეთი (-21,9%), ბოსნია და ჰერცოგოვინა (-20%), ხოლო ლატვია(-19,1%).

ამ მონაცემების ირგვლივ For.ge ექსპერტებს ესაუბრა.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **სოსო არჩვაძე** აცხადებს, რომ ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ინტენსიური პროცესები მიიღო მიგრაციამ და ჩვენი ქვეყნიდან ასეულობთ ადამიანი გავიდა სამუშაოს საძიებლად. ამდენად, ეს ყველაფერი დემოგრაფიულ პროცესებზე აისახება. მეტიც, თუკი ეს ტენდენცია შენარჩუნდება, ის არასასურველი შედეგი მართლაც დადგება, რაზეც „ბლუმბერგის“ გამოცემა აღნიშნავს.

თუმცა, ექსპერტის თქმით, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა ტარდება და ეკონომიკური გაუმჯობესების კვალობაზე, ბევრი მიგრანტი, ალბათ, დაბრუნდება საქართველოში. ამიტომ, ექსპერტი 2050 წლისთვის ასე პესიმისტურად არ უყურებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებას.

რაც შეეხება საქართველოს მოსახლეობის დაბერებას, იოსებ არჩვაძე აცხადებს, რომ დაბერების პროცესი მართლაც მიმდინარეობს იმის გამო, რომ შობადობის მაჩვენებელი შედარებით დაბალია და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მეტ-ნაკლებად სტაბილურია.

„150 სახელმწიფოს მიხედვით გროვდება ეს სტატისტიკური მონაცემები და სიკვდილიანობის მაჩვენებლის მხრივ ჩვენ სადღაც შუაში ვართ, მე-80 და 90-ე ადგილებზე. ეს შუალედური მონაცემები (80 და 90) საგანგაშო არ არის, მაგრამ ისეთი წარსულის, კულტურისა და მენტალობის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, არადამაკმაყოფილებელია. სამწუხაროდ, ერთ წლამდე ასაკის დაახლოებით 800 ბავშვი იღუპება საქართველოში, რაც ერთი დიდი ქართული სოფლის მოსახლეობის ეკვივალენტია. ჩვენ რომ გვქონოდა საშუალო ევროპული მაჩვენებელი, ეს მონაცემი იქნებოდა 180-200, ანუ სადღაც 600 ბავშვის გადარჩენა შეიძლებოდა სათანადო ეკონომიკური პირობების, ჯანსაღი კვების, სამედიცინო მომსახურების, ჰიგიენის შემთხვევაში“, — აცხადებს სოსო არჩვაძე.

დემოგრაფი **ავთანდილ სულაბერიძე** აცხადებს, რომ უცხოური გამოცემები ხშირად ეყრდნობა ოფიციალურ მაჩვენებლებს, რომლებიც სწორი არ არის. კერძოდ, ჩვენთან გარდაცვალებულების არასწორი აღრიცხვა ხდება და ეს შეცდომა ხშირად 10-15 და 20 %-საც აღწევს. ამიტომ საინტერესოა, „ბლუმბერგის“ მონაცემები რომელ მოკვდავობას ეხება. თუკი აქ ჩვილთა მოკვდავობა იგულისხმება, საქართველო ამ მონაცემებით ნამდვილად არ არის მესამე ადგილზე, რადგან ამ მხრივ ძალიან გვისწრებს აფრიკისა და აზიის ქვეყნები. რაც შეეხება მამაკაცთა მოკვდავობას, ის 2,8 მეათედით აღემატება ქალთა მოკვდავობას. მართალია, სიცოცხლის ხანგრძლივობა მამაკაცებში 70 წელია, მაგრამ რეალურად ის 66, 5 წელს აღწევს, ხოლო ქალებში სიცოცხლის ხანგრძლივობა, მართალია, 76 წელია, მაგრამ რეალურად 68 წელს აღწევს.

„ჩვენზე მაღალი მოკვდავობა აქვთ უკრაინას, რუსეთს, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს. ასე რომ, მოკვდავობის მაჩვენებლით საქართველო მესამე ადგილზე არ არის. თუ რომელ ადგილზეა, დაზუსტებით ვერ ვიტყვი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ათეულში არ იქნება და უფრო ოცეულშია საძიებელი. ეს კანონზომიერი პროცესია საქართველოსთვის, რადგან, როცა შობადობა მცირდება, მაშინ მოსახლეობის სტრუქტურა იცვლება და დაბერებული მოსახლეობა გვყავს. ჩვენთან თითქმის 16 %-ია დაბერების მაჩვენებელი. 70 წელს გადაცილებული მოსახლეობა 15%-ს ასცდა, 60 წელს გადაცილებულნი კი 20%-ს გადასცდნენ. ასეთი მაღალი დაბერების, სიღატაკის, მწირი პენსიის პირობებში, მოკვდავობის მაღალი მაჩვენებელი ნუ გაგიკვირდებათ“, — აცხადებს დემოგრაფი.

მისი თქმით, რუსეთშიც დეპოპულაცია მაღალია, იქ მოკვდავობა აღემატება შობადობას, უკრაინაშიც ასევეა. საქართველოშიც, სანამ სიღატაკეს არ მოევლება, რთული ვითარება იქნება.

ავთანდილ სულაბერიძის თქმით, ისტორიულად საქართველოში მოკვდავობის მაჩვენებელი არ იყო ისეთი ცუდი, როგორც დღეს არის. კერძოდ, 60-იან წლებში ყველაზე დაბალი მოკვდავობა ფიქსირდებოდა და სულ ექვსი ადამიანი იღუპებოდა ყოველ ათას სულზე. 1965 წლიდან კი ნელ-ნელა დაიწყო მოკვდავობის ზრდა, პარალელურად შობადობამაც შემცირება დაიწყო, რის გამოც მოსახლეობაში შემცირდა 15 წლამდე ასაკის ადამიანთა ხვედრითი წილი და გაიზარდა 60-65 წელს გადაცილებულთა ხვედრითი წილი.

დემოგრაფი **გიორგი მელაძე** არ გამორიცხავს, რომ „ბლუმბერგის“ აღნიშნულ მონაცემებში ერის დაბერება იგულისხმებოდეს, რაც ძალიან დიდია იაპონიაში, უკრაინასა და, ასევე, — საქართველოში. დემოგრაფი აცხადებს, რომ სიკვდილიანობა საკმაოდ მაღალია საქართველოში, ბავშვთა სიკვდილიანობით ევროპაში პირველ ადგილზეა ჩვენი ქვეყანა. გარდა ამისა, ჩვენში მაღალია სამუშაო ასაკში (16 წლიდან 64 წლამდე) მყოფი მამაკაცების სიკვდილიანობა, რაც ევროპულ ანალოგებს 1,5-ჯერ-2-ჯერ აღემატება.

„საქართველოში სამუშაო ასაკში დაახლოებით 14-15 ათასი ადამიანით მეტი ქალი და მამაკაცი კვდება, ვიდრე ეს ნორმალურ პერიოდში უნდა ხდებოდეს. ეს იმის ბრალია, რომ ჩვენთან ჯანდაცვა მძიმე მდგომარეობაშია, ადამიანებს მუდმივი სამუშაოს იმედი არ აქვთ, დიდია სტრესების ზეგავლენა. ეს ყველაფერი იწვევს, რომ ჩვენთან მაღალია მოკვდავობა, რაც საბოლოოდ სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მოქმედებს“, — აცხადებს გიორგი მელაძე.

მისივე განმარტებით, დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით, ევროპულ ქვეყნებთან ახლოს ვდგავართ, მაგრამ სიკვდილიანობის მაჩვენებლით ძალიან ჩამოვრჩებით მათ და განვითარებად ქვეყნებს ვემსგავსებით. ამდენად, ცოტა უცნაური სიტუაციაა საქართველოში.

დემოგრაფის თქმით, მე-19 საუკუნეში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რუსეთის იმპერიაში შედიოდა, სიკვდილიანობის მაჩვენებლებით, უფრო ევროპისკენ იხრებოდა; სიკვდილიანობის მაჩვენებლები აქ ყოველთვის დაბალი იყო და რუსეთთან შედარებით ჩვენთან ამ მხრივ ყოველთვის კარგი სიტუაცია გვქონდა. თუმცა, 60-იანი წლების შუა პერიოდში გარდატეხა მოხდა. თუკი 60-იანი წლების შუა პერიოდამდე სიკვდილიანობის მიზეზებში წინა პლანზე იყო ეგზოგენური მიზეზებით გამოწვეული სიკვდილი, ანუ სხვადასხვა ინფექციები, 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან ევროპამ სწრაფად გაგვისწრო, იქ შემცირდა მოკვდავობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა. ჩვენთან კი ეს მონაცემები პრაქტიკულად იგივე დარჩა. ამის მიზეზი იყო ის, რომ 60-იანი წლების მეორე ნახევარში ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში სიკვდილიანობის მიზეზებში წინა პლანზე წამოვიდა ენდოგენური დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა, სიმსივნეები, გულსისხლძარღვთა დაავადებები. ამ პათოლოგიების წინააღმდეგ საბრძოლველად დასავლეთ ევროპამ უზარმაზარი თანხა ჩადო ჯანდაცვაში, მათ ახალი ტექნოლოგიებიც დანერგეს და შეძლეს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა. ჩვენთან კი ეს არ მომხდარა, რადგან ჩვენთან ჯანდაცვა მხოლოდ მას შემდეგ ფინანსდებოდა, თუკი თავდაცვისა და სამხედრო დაფინანსებიდან თანხები დარჩებოდა.

მარიამ ლოლაშვილი

◎ წკეპლიკა

მანძილი ბრალდებულიდან ბრალმდებლამდე

„მე ბრალს ვდებ“ — ეს უბრალო, სამსიტყვიანი გამონათქვამი დიდი ემილ ზოლას იმ წერილის სათაურად აღმებეჭდა ცნობიერებაში, თავის დროზე საფრანგეთის პრეზიდენტს რომ მისწერა, მგონი, დრეიფუსის გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით (1941 წელს ფრანგებმა ჩინებული ფილმიც გადაიღეს შესაბამის სიუჟეტზე).

მეეჭვება, რომ ქართული ბედოვლათობით ტელევარსკვლავად ქცეულ ვანო მერაბიშვილს წაკითხული კი არა, გაგონილიც რომ ჰქონდეს ემილ ზოლა, მაგრამ ფაქტია: ამ დღეებში სწორედ ეს სამი სიტყვა გამოიყენა ხელისუფლების დასამუნათებლად და ეკრანიდან მრისხანედ „გააჟღერა“ — მე ბრალს ვდებ მთავრობას 80 მილიონი ლარის გაფლანგვაშიო (სასოფლო-სამეურნეო პროგრამის ფარგლებში). დიახ, 80 მილიონი ლარისა — არც მეტი, არც ნაკლები!

ნიშნის მოგება ნუ გამომივა, მაგრამ ახია ახალ ხელისუფლებაზე — ნაცური ხანის ერთ-ერთ გამორჩეულ ბრალდასადებს ვანო მერაბიშვილს, ვერც ახალგაზრდების დახვრეტა-ჩახოცვაში წაუყენეს ბრალი, ვერც 7 ნოემბრისა და 26 მაისის ტრაგედიებში, ვერც ციხეებში ჩადენილ ცოდვებში; ჰოდა, ახლა აგერ გალმაშედავებულთა როლში აღმოჩნდნენ! ისე, რატომ ღმერთი თუ არა, აშშ-ის ზოგიერთი სენატორი, ევროპარლამენტის სახალხო ფრაქცია ან ვენეციის კომისია არ გაიცინებს, როცა მილიონების კი არა, მილიარდების შემჭმელ-გამფლანგველი ნაცმოძრაობის ამოტივტივებული გენმდივანი „აქეთ“ ჩივის ფულების გადაყრას. თანაც უპირველესი ლარდოლარჭამია, პრეზიდენტის მყოლი! თანაც მთელ არასრულიად საქართველოში რომ მოგზაურობს, შეხვედრებს, ბრიფინგებს მართავს და ახლა მგონი, თავად უმიზნებს პრეზიდენტობას...

...ბრალდებულიდან ბრალმდებლამდე მანძილს რაც შეეხება — შუაში ერთი უკბილო, უხერხემლო, უნიათო მართლმსაჯულება თუ სამართალი უზის...

ბერდია ბედოიძე

საქართველო სიბინძურის მორევში არ ჩაეფლობა!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ თაობა

ფორუმის წინ

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევრო 2013-ის ელიტ-რაუნდისთვის მზადება კარგა ხანია დაიწყო. რეპეტიციის მიზნით, გია ცეცაძის გაწვრთნილი გუნდი სერბეთის ქალაქ სტარა პაზოვაში მასპინძელ თანატოლებს გაეჯიბრა და 1:0 გაიმარჯვა.

ამხანაგური მატჩის პირველი ტაიმი ფრედ 0:0 დასრულდა, მეორე ნახევარში, 65-ე წუთზე კი თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელმა ბუდუ ზივზივაძემ თანაგუნდელთა იერიში ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა და შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა - 0:1. სათქმელია, რომ გოლამდე ჩინებულად ითამაშა ნიკა კაჭარავამ, ვინც მასპინძელთა 3 მცველს მოხდენილი ფინტით გასცდა.

„ჩვენ ძლიერ მეტოქეს მისსავე მოედანზე მოვუგეთ და ეს ძალიან სასიამოვნოა, თუმცა ამაზე უფრო ბიჭების თავდადებამ და ყურადღებიანმა თამაშმა გამახარა – მათ ჩემი ყველა დავალება შეასრულეს! არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ დღევანდელ შეხვედრაში ჩვენ სერბებს აშკარად ვაჯობეთ“, – განაცხადა თამაშის შემდგომ გია ცეცაძემ.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ელიტ-რაუნდს 24 მაისს დაიწყებს: ბელგიის ქალაქ ბორნემში ინგლისელებს დაუპირისპირდება. 26 მაისს ჩვენი გუნდის მეტოქე შოტლანდია იქნება – მატჩს ვესტერლო უმასპინძლებს, 29 მაისს კი ქართველი 19-წლამდელები მასპინძლებთან თამაშით დაასრულებენ ტურნირს. ევრო 2013-ის ფინალურ ეტაპზე ელიტ-რაუნდიდან მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული იასპარეზებს.

სერბეთი 0:1 საქართველო

გოლი: 0:1 ბუდუ ზივზივაძე (65)

საქართველო: გაბრიელ თებიძე (ბაჩო მიქავა 46), ლევან გეგეჭკორი (დავით მთივლიშვილი 80), ნიკა ჭანტურია (ავთო ენდელაძე 46), ნიკა სანდოხაძე, დავით უბილავა, ლაშა დვალი, დაჩი ცნობილაძე, გურამ სამუშია (თემურ მარკოზაშვილი 80), გიორგი ფანცულაია (ლუკა ზარანდია 75), ნიკა კაჭარავა (ბაჩო არაბული 80), ბუდუ ზივზივაძე

მწვრთნელი: გია ცეცაძე

გიორგი შოთაძე

◎ სკანდალი

არ გვინდა ასეთი ფინიში!

დღეს „ზესტაფონს“ ფეხბურთისთვის აშკარად არ სცხელა. კლუბის ფეხბურთელები და პერსონალი სრულ გაურკვევლობაში არიან და საგარჯიშო პროცესიც შეწყვეტილია.

18 მაისს, საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურში, „ზესტაფონი“ სტუმრად თბილისის „დინამოს“ უნდა ეთამაშოს, მაგრამ დიდი ალბათობით, ეს მატჩი არ გაიმართება.

იმერულმა კლუბმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტს შექმნილი მდგომარეობის შესახებ უკვე აცნობა, კომიტეტი კი, ალბათ, „დინამოსაც“ ჩააყენებს საქმის კურსში.

„დინამო“ – „ზესტაფონის“ გამართვა საბოლოოდ გამორიცხული მაინც არ არის, მაგრამ ყველაფერი სწორედ იქითკენ მიდის, რომ ამ სეზონში „ზესტაფონს“ მოედანზე ვეღარ ვიხილავთ.

ხოლო რა იქნება შემდეგ სეზონში, ეს ჯერ მხოლოდ უფალმა უწყის...

◎ ჩოგბურთი

ჰორიზონტზეა ევროპა

20-26 მაისს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია კომპანია „ავერსის“ ხელშეწყობით ატარებს 14-16 წლამდე ასაკის გოგონათა და ვაჟთა შორის საქართველოს პირველობას.

პირველ-მეორე ადგილზე გასული ჩოგბურთელები მონაწილეობას მიიღებენ 2013 წლის ევროპის თანატოლთა ჩემპიონატში.

გოგონათა შორის პირველობა ჩატარდება კლუბ „სითი-სპორტში“ (ასათიანის 7ა), ვაჟთა შორის კი – კლუბ „დილა 90“-ის კორტზე (ე.ბეჟანიშვილის 6, კიკვიძის პარკი).

შეჯიბრება გაიმართება ერთეულთა თანრიგში, სადაც დაიშვება თითოეული ასაკის 16-16 ლიცენზირებული სპორტსმენი.

ტურნირი ყოველდღიურად 10 საათიდან დაიწყება, ხოლო ფინალური შეხვედრები 26 მაისს ასევე დილის 10 საათიდან აიღებს სტარტს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ იდეა

რაფაელ მარტინეტი: ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობები უნდა გავაერთიანოთ

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის, შვეიცარიელი რაფაელ მარტინეტის აზრით, 2020 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჭიდაობის დასაბრუნებლად ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის გაერთიანებაა საჭირო. ამ ინიციატივით მარტინეტიმ ფილას ბიუროს ოფიციალური წერილითაც მიმართა.

ვიდრე ამ განცხადებას გააკეთებდა, რაფაელ მარტინეტიმ თავად აღიდგინა ფილას ბიუროს წევრის სტატუსი, რომელიც ბიუროს ხმის უფლების მქონე წევრებმა 16 თებერვალს ჩამოართვეს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინასწარი გადაწყვეტილების გამო დანიშნულ სხდომაზე. მარტინეტიმ უმალ საარბიტრაჟო სპორტულ სასამართლოს მიმართა და სასურველი ვერდიქტიც მიიღო, მაგრამ კიდევ რამდენიმე მოთხოვნა არ დაუკმაყოფილეს. მათ შორის ფილას პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად ნენად ლალოვიჩის არჩევის არალეგიტიმურად გამოცხადებისა და უახლოესი კონგრესის გაუქმების შესახებ მოთხოვნები.

კონგრესი დღეს მოსკოვში გაიმართება, დღის წესრიგის უმთავრესი თემა კი, რა თქმა უნდა, ოლიმპიურ პროგრამაში დასაბრუნებელი გზების მოძებნა და ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციასა და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შორის მიმდინარე მოლაპარაკების მიმოხილვა იქნება.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ლეგენდის დასასრული

გამორჩეული ინგლისელი

ხუთშაბათს 38 წლის დეივიდ ბექჰემმა საფეხბურთო კარიერის დამთავრების შესახებ განაცხადა და ნალვლიანი თვალებით დაემშვიდობა ათეულ მილიონობით ქომაგს. უკანასკნელ ინტერვიუში მან თქვა: „ძსუ“-ს მადლობელი ვარ, თამაშის გაგრძელების საშუალება რომ მომცა, მაგრამ ვგრძნობ, დროა ფეხბურთს თავი დავანებო. ბავშვობაში ვინმეს რომ ეთქვა, შენს საყვარელ „მანჩესტერ იუნაიტედში“ ითამაშებ და მასთან ერთად უამრავ ჯილდოს მოიგებ, ინგლისის ნაკრების კაპიტანი იქნები და მასში 115 მატჩს ითამაშებო, არასოდეს დაიჯერებდი. მსოფლიოს წამყვან კლუბებში გამოვდიოდი და ალბათ ძალიან გამიმართლა, რომ ოცნებები რეალობად მექცა. ვფიქრობ, მართებული გადაწყვეტილება მივიღე, თუმცა მგონია, მეტის გაკეთება შემეძლო. ფეხბურთს ვერაფერი შემიცვლის, მაგრამ ცხოვრებაში ახალი თავგადასავლების დრო დგება. ძალიან მაინტერესებს, რა იქნება ახლო მომავალში“.

ასე რომ, 20-წლიანი კარიერის შემდეგ „ბექზი“ დიდ ფეხბურთს ემშვიდობება. გასულ ზამთარს ის ამერიკიდან ევროპაში დაბრუნდა და „პარი სენ-ჟერმენთან“ მოაწერა კონტრაქტს ხელი, გასულ კვირას კი პარიზელებთან ერთად საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. ეს მეოთხე ქვეყანა იყო, სადაც „ბექზმა“ იპირველა. მანამდე ის ინგლისში „მანჩესტერთან“ (1996, 97, 99, 00, 01, 03), ესპანეთში მადრიდის „რეალთან“ (2007) და აშშ-ში კი „ლოს ანჟელეს გელექსისთან“ ერთად (2011, 12) გაჩემპიონდა. სხვა არცერთ ინგლისელ ფეხბურთელს ასეთი მიღწევა არ ჰქონია. მას ასევე ცოტა ხანს უთამაშია „პრესტონ ნორთ ენდსა“ და იტალიურ „მილანში“ (კახა კალაძესთან ერთად). გარდა ამისა, ბექჰემი გახდა პირველი ბრიტანელი ფეხბურთელი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში 100 მატჩი ჩატარა. ჟურნალ „ფორბსის“ თანახმად, 2011 წელს ის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იყო მსოფლიოში (40 მილიონი დოლარი წელიწადში).

ჯარიმების, კუთხურებისა და ზუსტი პასის უბადლო ოსტატი, ტექნიკური და საზრიანი მოთამაშე, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი განაპირა ნახევარმცველი მარტო ფეხბურთით არ ყოფილა პოპულარული. მომღერალ ვიქტორია ადამსთან დაქორწინების შემდეგ ის შოუბიზნესშიც გაერია და ამ საქმეშიც ფეხბურთელებში პირველთაგანი იყო. დღეს მას კარგად იცნობენ მოდის სამყაროში. მისი სახელი ნამდვილი ბრენდი გახდა. მოგეხსენებათ, ამერიკაში ფეხბურთი მაინცდამაინც არ უყვართ, შესაბამისად, არც ფეხბურთის ვარსკვლავებს იცნობენ, პელე და მარადონა რომ უხსენოთ, შეიძლება ვერ გითხრან, ვინ არიან, ბექჰემი კი ყველამ იცის, დიდმაც და პატარამაც.

გეჟან დოლიძე

◎ ჰოკეი

გრანდთა ვარამი

დასასრულს მიუახლოვდა ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელსაც სკანდინავიის ორი ქვეყანა – შვედეთი და ფინეთი ერთობლივად მასპინძლობს.

წლევანდელმა ფორუმმა არაერთი სიურპრიზი შემოგვთავაზა, რომელთაგანაც უმთავრესად ერთ-ერთი ფავორიტის – რუსეთის ნაკრების ფიასკო უნდა მივიჩნიოთ.

ზინეტულა ბილიალეტდინოვის გუნდში ყველაფერი რომ რიგზე ვერ იყო, ჯგუფურ რაუნდშივე გამოჩნდა, სადაც ერთ-ერთი მატჩი სლავებმა არც მეტი, არც ნაკლები, ფრანგებთან(!) დათმეს 1:2, მაგრამ ის, რაც მათ მეოთხედფინალში ამერიკელებთან დაემართათ, უპრეცედენტოა ნახევარსაუკუნოვან ბიოგრაფიაში.

ოკეანისგაღმელებმა მრისხანე მეტოქე 8:3 გააცამტვერეს და დღეს ნახევარფინალში ტურნირის აღმოჩენას – შვეიცარიას შეხვდებიან, რომელმაც, თავის მხრივ, ჩეხეთს გამოუყვანა წირვა – 2:1.

მედლებისთვის ბრძოლას ამავე ეტაპზე გამოეთიშა ჰოკეის სამშობლო კანადა. მას ბულიტების სერიაში შვედეთმა სძლია – 1:0 (ძირითადი დრო – 2:2).

არანაკლებ დრამატულად განვითარდა მოვლენები დღის დასკვნით პლეი-ოფში, რომლის ბედიც ფინელთა სასარგებლოდ შარშანდელი მუნდიალის ფინალისტის – სლოვაკეთის წინააღმდეგ ერთმა შაიბამ გადაწყვიტა – 4:3.

ასე რომ, მეორე ნახევარფინალური წყვილი მეზობლების – „ტრე კრუნურისა“ და „სუომის“ შემადგენლობით შეგვიძლია გარკვეულწილად ნაადრევ ფინალად მივიჩნიოთ.

ვიტალი ჯაფარიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჩვენი კარაბადინი

თამამად, პატარავ!

როგორ დავეხმაროთ მორიდებულ ბავშვს

თქვენი პატარა ვერ ბედავს ან ერიდება ითამაშოს სხვა ბავშვებთან ერთად? ვიცით, როგორ დავეხმაროთ მას?.

თანდაყოლილი თუ შეძენილი?

სიმორცხვე — თანდაყოლილი თვისებაა. სავსებით შესაძლებელია, რომ ვინმე თქვენს ოჯახში გამოირჩეოდა გაზრდილი მორიდებულობით, და ახლა ეს თავისებურება გადაეცა მემკვიდრეობით თქვენს ბავშვს. მორიდებულობა გარკვეული ტემპერამენტის ადამიანებს ახასიათებთ. მელანქოლიური ბავშვები ჩვეულებრივად არიან წყნარები, თავიანთ თავში „ჩაფლობილები", აუჩქარებლები და... მორცხვები არიან. ბევრი მათგანისთვის — ნამდვილი წამებაა, მონაწილეობა მიიღოს საბავშვო დილის წარმოდგენებში, გამოვიდნენ აუდიტორიის წინაშე ანდა დედის თხოვნით გამოვიდნენ სტუმრების წინაშე, წაიკითხონ ლექსი ან იმღერონ ცნობილი სიმღერა.

მაგრამ სიმორცხვე არის შეძენილიც, ფსიქოემოციური განვითარების პერიოდში, ერთიდან ხუთ წლამდე, ბავშვები მეტად მგრძნობიარენი და შემთვისებლები არიან მათი მოქმედების შეფასებისადმი მოზრდილების მხრიდან. ზოგჯერ პატარა ცდილობს შეისწავლოს ახალი სიმღერა, აითვისოს უცნობი მოქმედება, აუშენოს ლამაზი ციხე-სიმაგრე დედას... მაგრამ არ მოეწონათ მშობლებს. როდესაც რამდენჯერმე გაიგონა თავის მისამართით: „აბა, მითხარი, ვინ ხატავს ასე", „დათვივით ცეკვავ", „ნახე, როგორი უწესრიგობაა კონსტრუქტორთან შენი თამაშის შემდეგ" — ბავშვს ნამდვილად სწამს თავისი უსუსურობა. სკოლაში ასეთი ბავშვები „არ ჩაერთვებიან ომში", რომ თავიანთი წარმატება გვიჩვენონ. თუ მისმა მშობლებმაც კი ვერ შეაფასეს მათი მცდელობა, რას უნდა ელოდონ უცნობი ადამიანებისგან. შემცირებულ თვითშეფასებას ხომ შეძენილ სიმორცხვესთან მივყავართ.

რბილი კორექცია

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბავშვის „ხელახლა აღზრდა", თუ საქმე თანდაყოლილ სიმორცხვეს შეეხება. ნებისმიერი მცდელობა ჩავერთოთ პატარის ნატურაში, შევცვალოთ იგი — მისთვის ნევროზად იქცევა.

ფსიქიატრის დახმარებით დაადგინეთ, გადაეცა ეს თქვენს პირმშოს მემკვიდრეობით თუ გაჩნდა, როგორც რაიმე ვითარების შედეგად. მორცხვი ბავშვებისთვის უამრავი კორექციული მეთოდიკა არსებობს. ეს შეიძლება იყოს სპეციალური ინტერაქტიული თამაშები — ინდივიდუალური თუ ჯგუფური. ასეთ ტრენინგებზე ბავშვები სწავლობენ, როგორ დაძლიონ მორიდებულობა (თავიანთი შესაძლებლობებისა და სურვილისა), თავი დააღწიონ შიშს. თამაშის დროს ბავშვები იძენენ უსაფრთხოების, დაცულობის გრძნობებს. ესმით, რომ ისინი მარტონი არ არიან და მათ გარშემო არიან ასეთივე ბავშვები, ასეთივე შიშებით.

ნუ შეეცდებით იმოქმედოთ პრინციპით „თავს მოვიკლავ". ბევრი მშობელი დაჟინებით აიძულებს ბავშვებს იმღერონ, იცეკვონ, გამოვიდნენ სცენაზე, რომ მათ მალე დააღწიონ თავი თავიანთ ბუნებრივ მორიდებულობასა და სიმორცხვეს. შეიყვანეთ პატარა აქტიური თამაშების სამყაროში თანდათანობით და აკურატულად. გაიყვანეთ ბავშვი საბავშვო მოედანზე. მიეცით დრო, რომ აითვისოს ყოველივე, შეეჩვიოს. მიიყვანეთ იგი ხელჩაკიდებულმა სხვა პატარების თავშეყრის ადგილზე. შეეკითხეთ, რას თამაშობენ და თუ უნდათ კიდევ ერთი მოთამაშე. იდექით ბავშვთან ერთად მანამდე, სანამ ის არ შეეჩვევა იქაურობას და თავად არ გაგიშვებთ ხელს. როდესაც თქვენთან სტუმრები მოდიან, ნუ აიძულებთ ბავშვს „ამოაფრქვიოს" ცნობები სახელისა და ასაკის შესახებ. ურჩიეთ სტუმარს ჩაიცუცქოს ბავშვის დონეზე, აიღოს ხელში სათამაშო და ელაპარაკოს პატარას სათამაშოს სახელით.

სიმორცხვისგან განთავისუფლებაში ბავშვებს ეხმარება ასევე იპოთერაპია (ცხენზე ჯდომა), დელფინოთერაპია, კანისტერაცია (თერაპია ძაღლებთან ერთად).

მთავარი სიმორცხვის კორექციაში — ესაა საკუთარი ბავშვის აღქმა ისე, როგორიც იგია. მის ხასიათსაც ხომ აქვს დადებითი მხარეები: მორცხვი ბავშვები — არიან ერთგული მეგობრები, კარგი დამხმარეები მეურნეობაში, ბეჯითები სწავლაში.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ

უკიდურესი სიმორცხვის ნიშნებია:

- **ბავშვი ერიდება უცხო ადამიანების ყურადღებას, არ შეუძლია პუბლიკის წინაშე გამოსვლა;**
- **როდესაც სტუმრები მოდიან, პატარა იმალება მოზრდილის უკან ან მიდის თავის ოთახში;**
- **უცხოების შეკითხვის შემდეგ წითლდება, ზურგს აქცევს;**
- **უყვარს წყნარი, არასპორტული თამაშები;**
- **შეუძლია თავის თავთან საუბარი;**
- **საბავშვო ბაღში ირჩევს მხოლოდ ერთ მეგობარს ან თამაშობს მარტო;**
- **ხშირად ეფერება საყვარელ სათამაშოს, რომელიც მისთვის დამცველი ბარიერია, საზღვარი გარე სამყაროსთან;**
- **სასკოლო ასაკამდე სურს მის გვერდით მუდამ იყოს დედა, დადის „ხელჩაკიდებული";**
- **კლასში ირჩევს ადგილს ბოლო რიგებში (კედელთან ან ფანჯარასთან);**
- **ასეთ ბავშვზე ზემოქმედების დროს მას შეიძლება გაუჩნდეს ნერვული ტიკი (უნებლიე კრუნჩხვა), ენურეზი.**

ვუპასუხებთ შეკითხვას

არ უნდა თუ არ შეუძლია?

ექვსი წლის ბავშვს თითქმის არ აქვს ურთიერთობა ადამიანებთან, სამაგიეროდ, შესანიშნავად ფლობს კომპიუტერს და მზადაა, იჯდეს კომპიუტერთან დილიდან ღამემდე. ღირს ამის წახალისება? იქნებ, ეს მისი მოწოდებაა?

ირაკლი, გარდაბანი

გვიპასუხებს პედაგოგი-არტთერაპევტი თინა ბრძელიძე:

— სამწუხაროდ, ბავშვს, როგორც ჩანს, შეენიშნება აუტიზაცია, რისი განსაზღვრაც მხოლოდ ექიმს შეუძლია. აუტიზმი — ესაა გარესამყაროსთან ავადმყოფური შეზღუდულობა, საკუთარ თავში ჩაკეტილობა, ადამიანებთან კონტაქტების სერიოზული დარღვევა. ადამიანები, ვინც ასეთ მდგომარეობას განიცდიან, ჩვეულებრივად ადრე ითვისებენ კომპიუტერს, რომელიც დაეხმარება მათ შეცვალონ ადამიანებთან ურთიერთობა. გარშემომყოფებს ეჩვენებათ, რომ ასეთ ბავშვს მეგობრები არც სჭირდება, ის თავისი თავით კმაყოფილად გამოირჩევა და მშობლები თავს იმშვიდებენ იმით, რომ მას „უბრალოდ თავისი სამყარო აქვს".

მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარადა. აუტიზირებულ (მით უმეტეს აუტიურ) ბავშვს არ აქვს ურთიერთობა ადამიანებთან არა იმიტომ, რომ არ უნდა, არამედ იმიტომ, რომ არ შეუძლია. არ შეუძლია, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ სხვა ადამიანები მასში ზღვარსგადასულ შიშს იწვევენ.

რასაკვირველია, შეიძლება ყველაფერი თვითდინებაზე მიუშვა და დატოვო ბავშვი კომპიუტერთან პირისპირ. მაგრამ მან ხომ საზოგადოებაში, ადამიანებთან უნდა იცხოვროს.ასე რომ, საჭიროა პირიქით, გამოვთიშოთ ბავშვი კომპიუტერს და გაძლიერებით შევეცადოთ ვასწავლოთ მას ურთიერთობა, საჭიროების შემთხვევაში მივმართოთ სპეციალისტებსაც, ვინაიდან, ეს საკმაოდ ძნელი ამოცანაა და მშობლებს, როგორც წესი, მისი გადაჭრა არ შეუძლიათ. თუ არ დავძლევთ დამცველ ნაჭუჭს, რომელშიც აუტიზირებული ბავშვია, ყველასგან გამიჯვნა დაამუხრუჭებს მის შემდგომ განვითარებას. მაშინ, სავსებით სავარაუდოა, აღარაფერი იქნება (მათ შორის კომპიუტერიც) მისი მოწოდება, ვინაიდან შეფერხება განვითარებაში არ მისცემს ბავშვს შესაძლებლობას ისწავლოს და იმუშაოს ნორმალურად.

ტანის უჯრედების წყარო

მკერდის რძე ტანის უჯრედების წყაროა. ეს აღმოაჩინეს მეცნიერებმა დასავლეთი ავსტრალიის უნივერსიტეტიდან. მკერდის რძისგან გამოზრდილ ნიმუშებს აღმოაჩნდათ უნარი გადაიქცნენ არა მხოლოდ გულის, ტვინის და კუჭქვეშა ჯირკვლის უჯრედებად, არამედ ძვლის ქსოვილის უჯრედებადაც.

აღმოჩნდა, რომ მკერდის რძის ყველა ნიმუშში, მიღებული ჯანმრთელი ქალებისგან, არის სხეულის მთელი უჯრედოვანი შემადგენლობის დაახლოებით 30 პროცენტი.

როგორ შევქმნათ ტვინისგან სუპერკომპიუტერი

გსურთ, რომ თქვენი ტვინი მუშაობდეს, როგორც პერსონალური კომპიუტერი, რომელიც იმახსოვრებს და ამუშავებს შემოსული ინფორმაციის უზარმაზარ ოდენობას? გსურთ აიმაღლოთ ინტელექტუალური უნარი, რომ სწრაფად გაართვათ თავი ურთულეს პროექტებს? გსურთ ბრწყინავდეთ გამოცდებზე და იყოს სრულად დარწმუნებული საგნის ცოდნაში?

გსურთ ეს? მაშინ ვიტამინები ტვინისთვის ოსტრუმი — სწორედ ისაა, რაც თქვენ გჭირდებათ. იმიტომ, რომ ოსტრუმის შემადგენლობაშია ტვინისთვის მიკროელემენტებისა და ვიტამინების დაბალანსებული კომპლექსი, და მთავარი მათ შორის არის — შეუცვლელი „ინტელექტის ვიტამინი" ქოლინი. ქოლინი სტიმულს აძლევს ტვინის უჯრედების მუშაობას, აჩქარებს ნერვული იმპულსების გავლას, რისი წყალობითაც ირთვება ტვინის „მძინარე" უჯრედებიც კი. შედეგად იზრდება ყურადღების კონცენტრაცია, ვარჯიშობს მეხსიერება, ვითარდება შემოქმედებითი აზროვნება და თავს გრძნობთ გონებრივი აქტივობის პიკზე.

დაიმახსოვრეთ: ვიტამინებით ტვინისთვის — ოსტრუმი — უფრო მარტივია სწავლა და იოლი მუშაობა.

ფეხმძიმეებისთვის სახიფათოა ზურგზე წოლა

ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ასეთმა ძილმა შეიძლება ბავშვის მცირე წონით დაბადება გამოიწვიოს. რაც მძიმე ხდება ნაყოფი, მით მეტად აწვება იგი დედის შინაგან ორგანოებს, რაც ართულებს სისხლის მიწოდებას პლაცენტასათვის. ძილის ოპტიმალური პოზა მომავალი დედისთვის — მარცხენა გვერდია.

გამოკითხვა

კარგად გძინავთ?

35 პროცენტი — არა ყოველთვის
24 პროცენტი — იშვიათად
22 პროცენტი — ქრონიკულად გამოუძინებელი ვარ
19 პროცენტი — დიახ, ყოველთვის

სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 987 კაცმა.

ოჯახური დავები ბავშვების ინტელექტუალურ განვითარებას ანელებს

მკვლევარებმა ორეგონის შტატის უნივერსიტეტიდან დაადგინეს, რომ ბავშვები, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან მშობელთა დავებს, უფრო მგრძნობიარენი არიან სტრესისადმი. მუდმივი სკანდალები ნეგატიურ გავლენას ახდენენ ბავშვის როგორც ფიზიკურ, ისე ემოციურ ჯანმრთელობაზე, ანელებენ მის განვითარებას.

„აბები მოხუცებულობის" წინააღმდეგ

მეცნიერებმა გამოსცადეს ასეთი აბები. პრეპარატი G 6, რომელიც ტანის უჯრედების გამონადენს ზრდის (ისინი ორგანიზმის ქსოვილს აღადგენენ), უნდა გამოეცადათ მიმდინარე წლის ნოემბერში. მაგრამ ერთ-ერთმა დამმუშავებელმა, რომელსაც მძიმე დაავადება აწუხებდა, გაიარა ახალი პრეპარატით მკურნალობა უკვე ახლა. მისი დამთავრების შემდეგ მეცნიერი მთლიანად გამოჯანმრთელდა.

ნატურალური წვენები დიაბეტის პროვოცირებას იწვევენ

ახალგაწურული წვენების რეგულარული მიღება მკვეთრად ზრდის შაქრის დონეს სისხლში. თუ წვენისადმი მიდრეკილება დიდია, სპეციალისტები გვირჩევენ ვსვათ ბოსტნეულის და არა ხილის წვენი (მისი გლიკემური ინდექსი უფრო დაბალია) და გვახსოვდეს, რომ დადებითი ეფექტის მისაღებად საკმარისია დღე-ღამეში ვსვათ ნახევარი ჭიქა ახალი წვენი.

ᲧᲘᲚᲘ

საქართველოს ქალთა საბჭო მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს გამოჩენილ კომპოზიტორს და საზოგადო მოღვაწეს ქალბატონ მარიკა კვალიაშვილს შვილიშვილის

გურამ ნავარიანის

გარდაცვალების გამო.

შპს „გეოპლანტის" თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ კომპანიის მთავარ ტექნოლოგს გენო შამათავას და მის ოჯახს ძმის, აფხაზეთის დამსახურებული პედაგოგის

რაჟდენ ელიზბარის ძე როდონაიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სულიერება

ზედაზნობა

20 მაისს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია იხსენიებს იოანე ზედაზნელს და მის თორმეტ მოწაფეს, რომლებიც ასურელი მოღვაწეები იყვნენ.

...იოანე ზედაზნელმა და მისმა თორმეტმა მოწაფემ წმინდა მოციქულთა სწორი – ქალწული ნინოს მოქცეულ საქართველოში სამონასტრო ცხოვრება დაამკვიდრეს.

...ცნობილია, რომ ზედაზენი უწყლო ადგილი იყო... თავისი მოწაფის ფიცხელი შრომის შემხედვარე იოანემ უფალს წყაროს აღმოცენება სთხოვა.

სახიერმა უფალმა ისმინა ვედრება წმიდისა ბერისა და მთის მწვერვალზე მაკურნებელი წყარო აღმოაცენა.

ზედაზნის წმინდა იოანე ზედაზნელის მონასტერი დაარსებულია VI საუკუნეში. ის არაგვის მარცხენა ნაპირზე, საგურამოს ქედის წვერზე, მცხეთიდან 8 კმ-ზე ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს.

აღსანიშნავია, რომ რამდენჯერმე დარბეული მონასტერი შეაკეთეს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, ბერმა ექვთიმემ...

ზ ე დ ა ზ ე ნ ი დღითი დღე ლამაზდება. სრულიად საქართველოს კ ა თ ო ლ ი კ ო ს - პ ა ტ რ ი ა რ ქ ი ს, მცხეთა-თბილისის მთავარეპოსკოპოსის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით აქ აშენდა საცხოვრებელი სახლი ბერთათვის, ბაზალტის ფილებით მოპირკეთდა წმინდა იოანე ზედაზნელის საფლავი, რომელიც მონასტრის მთავარი სიწმინდეა.

ზედაზნის სამონასტრო კომპლექსი 20 მაისს მომლოცველებითაა სავსე, ისინი ყოველწლიურად სასწაულის მოწმენი არიან. ამ დღეს ტაძრის კედლები მთლიანად იცვარება და წმინდა წყალი გადმოსდის.

გიული ლიპარტია

◎ ველით გამარჯვებულს

დღეს „ევროვიზიის“ ფინალია

„ევროვიზიის“ ქართველმა მონაწილეებმა სოფო გელოვანმა და ნოდიკო ტატიშვილმა ნახევარფინალური ტური წარმატებით გაიარეს და საუკეთესო ათეულში მოხვდნენ.

სოფიმ და ნოდიმ მეორე ნახევარფინალურ საღამოზე სიმღერა Waterfall შეასრულეს. მეორე ნახევარფინალური ტურის გამარჯვებულები კომპეტენტურმა ჟიურიმ და ევროპელმა მაყურებელმა ხმის მიცემის შედეგად, ერთობლივად (50/50) გამოავლინეს.

რიგით 58-ე „ევროვიზიის“ სიმღერის კონკურსის ფინალი დღეს, 18 მაისს შედგება. ფინალურ საღამოზე 2013 წლის ევროფესტივალის გამარჯვებული გამოვლინდება.

„ევროვიზიის“ სიმღერის კონკურსის მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

ინტერპრესი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ დაიჯესტი

„ფუნთუშების“ ხიბლი

სტრესში მყოფ მამაკაცებს, თურმე, განსაკუთრებით... მსუქანი, „ფუნთუშა“ ქალბატონები იზიდავენ.

ექსპერიმენტით დადგინდა, რომ ნერვული დაძაბულობის დროს, ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ნორმალური აღნაგობის, ანდა უფრო ტანსრული ქალები იზიდავენ, ნორმალურ, მშვიდ მდგომარეობაში მყოფებს კი – ტანწერწეტა მოდელები.

როგორც ჩანს, ხიფათის დროს ადამიანები დიდი სიცოცხლისუნარიანობის დამადასტურებელ ნიშნებს უფრო აქცევენ ყურადღებას, რომლებსაც სიმსუქნეც განეკუთვნება.

გადამდები ბედნიერება

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯეიმს ფოულერმა დაადგინა, რომ ახლობლის გასაჭირზე მეტად გარშემო მყოფებზე მისი კეთილდღეობა მოქმედებს. თურმე, მისი ბედნიერება ვირუსივით გადამდებია.

მეცნიერმა სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები გააანალიზა, რომლებიც 1948 წლიდან მოყოლებული რეგულარულად ტარდებოდა, რომლებშიც 5 ათასმა კაცმა და 50 ათასმა მათ ნაცნობმა და ახლობელ-მეგობარმა მიიღო მონაწილეობა. აღმოჩნდა, რომ პირადი ბედნიერება დიდადაა დამოკიდებული მეგობრებისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეგობრების მეგობართა კეთილდღეობაზე!

– ერთი კაცის სუბიექტური კეთილდღეობა ინფექციასავით ვრცელდება და ახლობლებს „გადაედება“, – აცხადებს მკვლევარი. – თქვენი პირადი ბედნიერება მეგობრის ბედნიერად ყოფნის შანსებს 25 პროცენტით ზრდის, მისი მეგობრის ბედნიერება – 10 პროცენტით, ხოლო იმის მეგობრის – კიდევ 5,6 პროცენტით.

ინგლისური იუმორის საიდუმლო

თურმე, ნუ იტყვით და ინგლისური... კარგი გუნება-განწყობის ენა ყოფილა!

ვერმონტელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ინგლისურში პოზიტიური სიტყვა ნეგატიურზე გაცილებით მეტია, თანაც ხალხი მათ ნეიტრალურებზე ან უარყოფითზე გაცილებით უფრო ხშირად ხმარობს. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ინგლისური იუმორის საიდუმლოც სწორედ ამაში მდგომარეობს და რომ ინგლისური ენის გაკვეთილები... ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.

უცნაური პაპირუსის გასაოცარი ამბავი

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა კარენ კინგმა ძველი კოპტური პაპირუსის ფრაგმენტი გაშიფრა.

ამაში, თვალის ერთი გადავლებით, გასაოცარი არაფერი იქნებოდა, რომ არა მისი შინაარსი: „უთხრა მათ იესომ: „ცოლი ჩემი...“ და „... მარიამი ღირსია ამისა...“ ამ დოკუმენტმა სამეცნიერო სამყაროში ლამის გადატრიალება მოახდინა, მაგრამ რამდენიმე საქვეყნოდ ცნობილმა მეცნიერმა მას მაშინვე სიყალბე უწოდა. საბოლოო ანგარიშით უნივერსიტეტმა პროფესორ კინგის სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება გადადო.

– ცნობილია, რომ ძველ კოპტებში **(ასე ეწოდებათ არაბ ქრისტიანებს – რედ.)** ძველთაგანვე არსებობდა აზრი, რომ იესო ქრისტეს ცოლი ჰყავდა, – აცხადებს რელიგიის ისტორიკოსი ივან სევერნი. – მაგრამ ლაპარაკი ამ თემაზე მრავალი საუკუნის წინათ დასრულდა. თანაც აღნიშნული პაპირუსის გამოჩენაც გარკვეულწილად უცნაურ გარემოებებს უკავშირდება. მისმა ანონიმმა მფლობელმა, რომელსაც საკუთარი ვინაობის გამხელა არაფრით არ სურს, ის თავად 1997 წელს მიიღო... დაუსახელებელი წყაროდან. თანაც ტექსტის მასალა, შრიფტი და ენა იმ ეპოქის დოკუმენტებისთვის არადამახასიათებელია.



◎ ანეკდოტები

– ძვირფასო, მართლა ყველა სურვილს ამისრულებ? – ეკითხება ქალი კაცს.

– რა თქმა უნდა!

– გადასარევია! მომიძებნე სხვა მამაკაცი!

* * *

– რამდენი დანა აქვს ჩვეულებრივ ადამიანს?

– როგორც წესი, იგი 2-3 დანას ატარებს.

– მაგრამ ეს უკვე დანებით გატაცებული ადამიანია!

– დანებით გატაცებული ადამიანი 5-6 დანას ატარებს.

– მაგრამ ეს მანიაკია!

– არა, მანიაკი 10 დანას ატარებს.

– მაგრამ ეს უკვე უცნაური ადამიანია!

– უცნაური ადამიანი საერთოდ არ ატარებს დანებს.

– სწორედ ეს არის ჩვეულებრივი ადამიანი.

– არა, უკვე ხომ ვთქვით, რომ ჩვეულებრივი ადამიანი 2-3 დანას ატარებს...

* * *

ნამდვილი მამაკაცი ისე უნდა დაეხმაროს ქალს პალტოს გახდაში, რომ შემდეგ ქალს თავად მოუნდეს დანარჩენი სამოსის გახდა.

* * *

ინერციის კანონი – ეს ის არის, როცა ცხელი ამინდები ჩავლილია, მაგრამ ორგანიზმი მაინც მოითხოვს დღეში ხუთ ლიტრ ლუდს!



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com